რასაკვირველია, მეპატრონე ფეხბურთელებს ვერ შეაქებდა. „ფულჰემი“ ხომ პრემიერლიგის ცხრილში მე-17 ადგილზეა. ის მხოლოდ გაგანილი და გაშვებული გოლების უკეთესი სხვაობის გამო დგას ვასავარდნოს ზონაში მყოფ „უიგანზე“ მაღლა, არადა მაისში ლონდონელები ევროლიგის ფინალში იყვნენ. ამბობენ, რომ ბაზაზე მეპატრონის გამოჩენამ და ნაღაპარაკებმა ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი დაზაფრა კიდეც, თუმცა მთავარი ის იყო, რომ მან 47 წლის მწვრთნელს მარკ ჰიუზს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

აღ ფაიედს, რასაკვირველია, კარგად ესმის, რომ „ფულჰემის“ დაბრკოლება მნიშვნელოვანწილად ნამყვანი ფეხბურთელების ტრავმებმა განაპირობა. ასე მაგალითად, დაშავებულია გუნდის ვარსკვლავი, თავდამსხმელი **ბობი ზამორა**. ამბობენ, რომ ბაზრობის მესაკუთრემ მდგომარეობა იანვრიში ვამოასწოროს და ჰიუზს მისცეს თანხა, რომლითაც ის შეამაგეწილობის გაძლიერებას შეძლებს.

კერძოდ, რომელი ფოლებისა გაძლიერება სჭირდება უცილოდ? რასაკვირველია, თავდასხმის, თუმცა ნახევარდაცვაც მისახედი აქვს. რაც შეეხება მეკარეს, **მარკ შვარცერი**, მართალია ამბობს, რომ მისი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ „ჟრიელ კოტეჯთან“ არის დაკავშირებული, იგი ავსტრალიელია და იანვარში აზის თასზე სათამაშოდ მიემგზავრება.

ჰიუზს არასდროს დაუშალავს, რომ თავისი ყოფილი გუნდიდან, „მანჩესტერ სიტიდან“ სურს რამდენიმე ფეხბურთელის წამოყვანა. კერძოდ, ლაპარაკია ირლანდიელ მეკარე **შეი გივენსზე** და თავდამსხმელ **როკე სანება კრუზზე**. არ არის გამორიცხული „ფულჰემისა“ და „სიტის“ ვაჭრობის საგნად **შონ რაიტ-ფილიპსიც** იქცეს.

ისტანბულელთა გარდა ჰიუზი, რასაკვირველია, სხვა გუნდებთანაც ანარმოებს მოლაპარაკებებს. ასე მაგალითად, „ფულჰემის“ წარმომადგენლები და რემინული „კლუბის“ დირექტორატის წევრები სადაცაა კოტდივუარელი თავდამსხმელის **ლასინე ტრაორეს** თაობაზე დაჭრაენ ხელს ხელზე – 20 მილიონ ფუნტს იხდის. საქმე უკვე სამედიცინო შემოწმებაზეა მიმდგარი. კიდევ, „ფულჰემის“ სკაუტები „მიდლსბროს“ გოლკიპერს **ჯეისონ სტილს** უტრიალებენ. მათვე მიზანში ჰყავთ ამოლებული „ტრანმერის“ ყმანვილი გარემარები **დეილ ჯენნინგსი** და „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი **დემბა სისე**.

დაცვაში ასეა საქმე: **კრის ბეირდი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ამის მიუხედავად „ასტონ ვილადან“ **ლუკ იანგის** შეძენაზე მაინც არის ლაპარაკი – მარჯვენა ფრთის გაძლიერებაა საჭირო. ბერდმა ნინა ტურში „სიტის“ წინააღმდეგ თამაშიც მოასწრო და თავისი გუნდით უკმაყოფილო დარჩა:

„მანჩესტერელებთან რაც უნდა გვეკეთებინა იმას არ ვაკეთებდით. მწვრთნელმა აგრესია და ბურთის მათ ნახევარზე გადატანა დაგვავალა, ჩვენ კი საკუთარ თავს არ ვგავდით. არა უშავს. იმედი გვაქვს, ამ ტურში „ბირმინგემთან“ უკეთესად ვითამაშებთ და შედეგს გამოვასწორებთ. გარშემონების, ამ შეხვედრაში ჩვენ ასი პროცენტით დავიბარჯებით. სამწილეებაა, რადგანაც ცხრილს უყურებ და საკუთარ თავს მე-17 ადგილზე ხედავ. ჩვენ გაცილებით ძლიერი გუნდი ვართ ვიდრე ცხრილებში ჩანს ან, თუნდაც, „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში გამოჩნდა“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ვერდიქტი ბიბლიოთეკა

იანგს გვინს ურევენ

„ასტონ ვილას“ ფეხბურთელი ეშლი იანგი დატაცებაზეა. ახლოვდება იანვრის სარტანსფერო ფანჯარა და 25 წლის თავდამსხმელის შესაძენად „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ გააქტიურდნენ, მაგრამ ბირმინგემელებს აღარ ეკითხებიან? „ვილას“ ფრანგი თავკაცი **ჟერარ ულიე** კატეგორიულ უარზეა, ეს კაცი ჩემი გუნდის თილისმაა და... 80 მილიონ ფუნტზე იაფად არავის დაეუთმობა, აცხადებს.

ცნობილია, რომ თავად იანგი „ასტონ ვილაში“ თამაშით ძალიან ქმაყოფილია და დარჩენებენ, რომ გუნდს კარგი მომავალი აქვს, მაგრამ რაგინდ ქმაყოფილი იყოს, შეუძლებელია, „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეთავაზებებმა ტკინი არ აღონის. იანგს ბირმინგემელებთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, ძველის ვადის გასვლამდე კი 18 თვეა დარჩენილი.

საკუთრივ „ვილას“ კი „რეინჯერსისგან“ მეკარის **ალან მაკგრეგორის** გადაბირება სურს და ამიტომაც ჰყავდა ოთხბაბაოს, გლაზგოში, „იუნაიტედთან“ რემპიონთა ლიგის შეხვედრაზე დასასწრებად ულიეს ასისტენტი **გერი მაკალისტერი** მივლინებული.

რემსი ფორესს შეერევა

ბარნლის ტრავმის მერე მოედანს უბრუნდება და... გე ზ „ნოტინგემ ფორესის“ აქვს აღებული. „არსენალის“ 19 წლის ვარსკვლავი, რომელიც თებერვალში „სტოკთან“ შეხვედრაში საშინლად დაშავდა, 3 იანვრამდე „ფორესტში“ მოიკრძალს ძალას.

უეულეთ საქმეში სამშაბათს დაბრუნდა – „არსენალის“ რეზერვისტები „ვულვერჰემპტონისას“ შეხდნენ და ამ შეხვედრაში რვამი 45 წუთით შეეყო და მოედანზე. „მეთოდოთა“ თავკაცი **არსენ ვენგერი** მიიჩნევს, რომ ცენტრალური ნახევარმცველი ძლევაზე ფორმას გაცილებით მალე აღიდგენს თუ რეგულარულად მოხედება რომელიმე გუნდის ძირითად შემადგენლობაში, „არსენალში“ კი, ამის საშუალება, რასაკვირველია, არ არის.

„აარონი რეზერვისტების შეხვედრაში ერთი ტაიმით შეეყია მოედანზე და საქმეში ძალიან კარგადაც ჩაერთო, მაგრამ ცხრათვიან უქმობას მისთვის თავისი დალი მაინც დაუნებვია. ვიმეორებ, იმ 45-მა წუთმა, რაც მისი შესრულებით ვნახე გამაოცა, თუმცა ამაზე ვაჩერება არ შეიძლება, რემსის მატჩიდან მატჩამდე მართებს ფორმის გაუმჯობესება და ამას „ნოტინგემ ფორესტში“ უკეთ შეძლებს“.

„ნოტინგემ ფორესტი“ პრემიერლეზე ერთი სავეხურით ქვეითი, ჩემპიონატში გამოღის – 18 ტურის შემდეგ მე-6 ადგილზეა.

მაკრაგელი, ფურცელი და ქვა

„პოლტონ“ მიმდინარე სეზონში ყველას აოცებს – **ოუენ კოილის** გუნდი შესანიშნავად თამაშობს და 22 ქულით მე-3 ადგილზეა. რა მანძანებით მიაღწია ამას 44 ნლის სპეციალისტმა? თურმე ეუ იტყვით და ის ფეხბურთელებს გასახდელში „მარატელს, ქვასა და ფურცელს“ თამაშობენ.

„ფეხბურთელებთან დიდი ბაუმენი არიან, – თქვა კოილმა, – ვიცი, ისინი ძალიან ბევრს ფუშაობენ, მაგრამ ამას სანე ზე ღიმილით აკეთებენ და აი, ეს არის მეტისმეტად მნიშვნელოვანი“.

ბოლო ტურში „პოლტონმა“ „ნიუკასლ უონაიდთან“ 5:1 მოიგო. ანგარიში **კევინ დევისმა** პენალტით გახსნა, მაგრამ ამაზე ყურადღებას სარჩოდ არ გავამახვილებთ და ვიტყვით თავისებური ზეიმის შესახებ: ნახ თითებით ორი მაკრატელი განასახიერა.

„ძალიან მიხარია, როდესაც ეზედვე როგორ ერთობიან ბიჭები. მათ ერთად ყოფნა ძალიან მოსწონთ“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ევროუქმეების წინ

შერისხული კაპიტნის დაბრუნება

ალე დიარრა ამხილეს სახელგანთქმულ მოთამაშეს

საშვარგამეში იმდენი გუნდია ლიდერთა ჯგუფში (და ეს უკვე ტრადიციაა), რომ ყოველ ტურში რამდენიმე «ცენტრალური თამაშია», ზოგს თუ საბურნირო მდგომარეობის გამო გამოვარჩევეთ, ზოგს კი სტატუსი ტრადიციების წყალობით ისედაც ეკუთვნის. ძალიან საინტერესო მატჩია ფირნენდში, სადაც «ბორდოს» წინა ტურში გალიდერებული «ლილი» სტუმრობს. გარონის ნაპირებზე დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ნარმოიდგინეთ, ამ თამაშმა შეიძლება ისევ თავდაყირა დააყენოს ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა, მე-7 ადგილზე მყოფი «ბორდო» ხომ სულ რაღაც 2 ქულით ჩამორჩება «ლილს».

ჟან ტიგანას არ ეყოლება მცველი **მარკ პლანიუ**, სამპიერიდე ხახვარდაცვაში **ალუ დიარა** უბრუნდება. კაპიტანმა მოიხადა 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც მსაჯზე თავდასხმისთვის მიილო. მცირე დისკვალიფიკაცია მოიხადეს **ფაჰიდ ბენ ხალფაჯამბა** და **მატიო ჰალმემ**. «ლილს» მხოლოდ ორი ფეხბურთელი დააკლდება **პიერ-ალენ ფრო** და **ფლორანმ ბალმინი**, თუმცა მწყობრშია გუნდის ამომავალი ვარსკვლავი **ედენ ჰაზარდი**, რომლის თამაშზეც დიდად არის დამოკიდებული «ლილის» წარმატება.

ორნიოდე სიტყვით, «მარსელი» - "მონპელიეს" მატჩზეც ვთქვათ. რუსეთის დამსყრობელი სამხრეთელები «ველოდრომზე" მეორეადგილოსან კოტდაზურელებს ელიან. სხვათა შორის, "მონპელიე" გასულ შაბათს გალიდერად და 24 საათის განმავლობაში პირველი იყო რემპიონატში, ეს კი ამ გუნდის ისტორიაში არნახული შემთხვევაა. «ველოდრომზე" საქმეა **ანრე-პიერ ჟინიაკის** თამაში, თუმცა **დიდე დეშამი** ჯერ კიდევ არ კარგავს იმედს, რომ ფორვარი ითამაშებს. ძალზე სახიფათოა სტუმრათა შემტევი **ოლივიე ჟირუ**, რომელიც ბრნყინვალე ფორმაშია და მოეცანს უგოლოდ არ ტოვებს.

საშვარგამეში

ლიგა 1. XV ტური წინ

დღეს

ბრესტი-ლანი	22:00
ლორიანი-რენი	22:00
მარსელი-მონპელიე	22:00
მონაკო-ნიცა	22:00
ნანსი-ასენ ეტიენი	22:00
ვალანსიენი-ასლი	22:00
გირონდი-ლილე	00:00

ხვალ

ოსერი-ტულუზი	20:00
ასენი-სოშო	20:00
ლიონი-ასპ	00:00

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. ლილე	14	6	6	2	24-16	24
2. მონპელიე	14	7	3	4	13-12	24
3. ასპ	14	6	5	3	21-13	23
4. რენი	13	6	5	2	16-9	23
5. მარსელი	13	6	4	3	21-14	22
6. ბრესტი	14	6	4	4	14-10	22
7. ბორდო	14	6	4	4	18-15	22
8. ლორიანი	14	6	4	4	18-16	22
9. ოსერი	14	4	7	3	20-16	19
10. სტ. ეტიენი	13	5	4	4	17-15	19
11. სოშო	14	5	3	6	22-18	18
12. ლორიანი	14	5	3	6	14-15	18
13. ტულუზი	14	5	3	6	14-15	18
14. ნანსი	14	5	2	7	16-24	17
15. ნიცა	14	4	4	6	11-16	16
16. ვალანსიენი	13	3	6	4	13-14	15
17. მონაკო	14	2	8	4	14-13	14
18. ასენი	14	3	5	6	16-22	14
19. ლენი	14	3	5	6	13-22	14
20. ანჟერი	14	1	3	10	9-29	6

ბომბარდირები: 10 - გლარაბი (ასენი); 9 - სოუ (ლილე); 8 - პაიე (ნენტი ატლ.); 7 - ნენე (ასპ).

კოლანდია

ერედივიზიონი. XVI ტური წინ

ჰერენვეინი - ალკმარი 4:2

გოლები: 0:1 რეინი (15), 1:1 ლეონარდო (30), 1:2 ჯუჯაკი (33), 2:2 ამოა (41), 3:2 ბუსაკერი (50), 4:2 ამოა (50)
გაძევებული: ლეონი (75, ჰერენ)

დღეს

აზპაპარი-ჰერენვეინი	21:45
რ'დამ-ჰარლინგენი	22:45
ვილემ II-ტილბურგი	22:45
ნიიმეგენი-ტვენტე	23:45

ხვალ

დე გრააფსხაპ-ჰიდუნი	15:30
ფეინუორდ-დენ ჰააგი	15:30
ჰერაკლესი-უტრეხტი	17:30
ვიტესე-აიაქსი	17:30

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. აზპ	16	10	4	2	45-16	34
2. ფეინუორდ	15	9	4	2	27-13	31
3. ჰარლინგენი	15	9	3	3	29-20	30
4. აიაქსი	15	8	4	3	33-16	28
5. აზპაპარი	15	8	4	3	21-14	28
6. რენი	15	6	7	2	25-20	25
7. დენ ჰააგი	15	7	4	4	27-24	25
8. გრონინგენი	15	6	5	4	27-20	23
9. უტრეხტი	15	7	2	6	26-20	23
10. ჰარდვა	16	7	2	7	22-25	22
11. ნიიმეგენი	15	5	4	6	25-27	19
12. ფე გრააფსხაპი	15	5	4	6	20-30	19
13. ვიტესე	15	4	4	7	18-26	16
14. ჰერაკლესი	15	4	3	8	24-26	15
15. ტილბურგი	15	4	2	9	18-29	14
16. ფეინუორდი	15	3	4	8	19-31	13
17. ჰიდუნი	15	3	0	12	15-32	9
18. ჰერენვეინი	15	0	2	13	12-44	2

ბომბარდირები: 11 - ვან ფერსელი (აიაქსი), ვან ფოლფენჰოვენი (ფეინუორდი), ვილემსტეინი (ნიიმეგენი), 9 - ტოდორანი (პსვ), ბუსკერსი (ვან ჰააგი).

ბელგია

ჟუპილერლიგა. XVII ტური წინ

გენტი-ბენტი 1:2

გოლები: 1:0 ფონტეინი (2), 1:1 ფოლ კარლუსი (10 ს.კ.), 1:2 არბეიტაგნი (30)
გაძევებული: ფულერი (56, გენტი)

ანდერლეხტი-შარლერუა	23:00
სერალ ბრიუგე-ჟერმინალი	23:00
ჟორტრიიკი-ლოკერენი	23:00
სტანდარდი-ლიერსი	23:00
ზედხტერლო-ვევხემი	23:00

ხვალ

სინტ ტრუიდენი-ბრიუგე	21:00
მეხელენი-ზარეგემი	23:30

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. გენკი	17	11	3	3	44-17	36
2. ანდერლეხტი	16	10	4	2	32-12	34
3. გენტი	17	10	2	5	34-27	32
4. ლოკერენი	16	8	5	3	26-21	29
5. სტანდარდი	16	8	3	5	28-22	27
6. ზედხტერლო	15	7	4	4	22-20	25
7. სტრესი	16	7	4	5	19-21	25
8. ბრიუგე	16	7	3	6	32-22	24
9. ჟორტრიიკი	16	7	3	6	19-17	24
10. ვევხემი	16	6	5	5	20-20	23
11. ზარეგემი	16	4	8	4	24-21	20
12. სტ. ტრუიდენი	16	4	2	10	11-33	14
13. ჟერმინალი	16	3	4	9	10-25	13
14. ვევხემი	15	3	2	10	19-28	11
15. ლიერსი	16	1	6	9	13-27	9
16. შარლეროა	16	1	4	11	10-30	7

ბომბარდირები: 14 - ვოსენი (გენკი); 12 - ვარგასი (ზარეგემი); 7 - როსინი (ჟორტრიიკი), კარსელი (სტანდარდი), ბარდა (გენკი), ლუკიკი (ანდერლეხტი).

ავსტრალია

ლიგა საბერემე. XII ტური წინ

სტატსკი-აპადემიკა 0:1

გოლები: 0:1 ვალენტე (3)

დღეს

შპირინა-ოლანნენი	20:00
მარტინოვ-ვიშარაევი	21:00
სპორტნიკი-პრატუ	01:15

ხვალ

ნავალი-რიუ ავე	20:00
ჟორტნიკოვი-ლეონია	20:00
ჯეირა მარი-ჯენფიკა	22:15
ბრაგა-ნასიონალი	00:15

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	11	10	1	0	27-4	31
2. ბენფიკა	11	7	0	4	17-11	21
3. ბიშკრაეში	11	6	3	2	16-11	21
4. პასუნდასა	12	5	3	4	19-15	18
5. სპორტინგი	11	5	3	3	13-11	18
6. ნასიონალი	11	5	2	4	12-12	17
7. ოლანენსე	11	3	6	2	11-10	15
8. პენაფიელი	11	3	6	2	12-12	15
9. ლეირია	11	4	3	4	9-12	15
10. ბრაგა	11	4	2	5	17-16	14
11. სპორტინგი	12	3	4	5	8-13	13
12. ფერეირა	11	2	3	4	10-14	11
13. რიუ ავე	11	2	4	5	11-14	10
14. მარიტიმუ	11	1	1	6	4-14	9
15. პორტიმონენსე	11	2	2	7	10-19	8
16. ნავალი	11	1	2	8	6-21	5

ბომბარდირები: 11 - პაული (პორტუ); 7 - ფოა ტოშში (რიუ ავე); 6 - ფილიო (პორტუ), მიგელ ფოდეგო (ასპორტუგ), ვარელა (პორტუ).

რუსეთი

პრემიერლიგა. გრელ ტური წინ

ხვალ

ამკარი-ცსკა	15:00
დინამო-სპარტაკი	15:00
ლოკომოტივი-რუბინი	15:00
ნალჩიკი-ანჟი	15:00
სატურნი-ალანია	15:00
ტერეკი-სიბირი	15:00
ტომი-რომტოვი	15:00
ზენიტი-კრილია	15:00

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. ზენიტი	29	20	7	2	61-21	67
2. ცსკა	29	18	7	4	51-22	61
3. რუბინი	29	15	12	2	37-16	57
4. სპარტაკი	29	13	9	7	42-32	48
5. ლოკომოტივი	29	13	8	8	34-29	47
6. ნალჩიკი	29	12	8	9	39-34	44
7. დინამო	29	9	12	8	37-30	39
8. რომტოვი	29	10	4	15	26-41	34
9. ტომი	29	9	7	13	32-42	34
10. სატურნი	29	8	9	12	26-37	33
11. ანჟი	29	8	8	13	27-33	32
12. ალანია	29	8	6	15	26-38	30
13. კრილია	29	7	9	13	28-40	30
14. ამკარი	29	8	5	16	24-35	29
15. ტერეკი	29	7	8	14	24-40	29
16. სიბირი	29	4	7	18	33-57	19

ბომბარდირები: 18 - ვლადიკინი (სპარტაკი); 14 - კორნილოვი (ტომი), ალიევი (ლოკომოტივი); 13 - ქერაზოვი (ზენიტი).

შვეიცარია

პრემიერლიგა. XIX ტური წინ

ლიტიერატე-არეხვაი 1:1

გოლები: 0:1 მაქსიმოვი (2), 1:1 ტაშჩენი (38)

დღეს

ტავარა-ვორასკა	15:00
კარაპატი-ზარია	17:00
დინამო-სევასტოპოლი	18:00
მეტალისტი-მეტალურგი დ.	20:00

ხვალ

შახტარი-არსენალი	18:00
ვოლინი-მეტალურგი ზ.	21:00
ოლიმპიკი-დნიპრო	22:00

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. შახტარი	18	16	1	1	34-7	49
2. დინამო	18	11	4	3	33-17	37
3. მეტალისტი	18	11	2	5	35-18	35
4. დნიპრო	18	9	5	4	26-11	32
5. კარპატი	18	8	5	5	20-16	29
6. არსენალი	18	7	4	7	22-20	25
7. ვოლინი	18	7	4	7	19-21	25
8. ზარია	18	6	4	8	22-20	22
9. ტავარა	18	6	4	8	28-29	22
10. მეტალურგი დ.	18	6	4	8	20-26	22
11. ოლიმპიკი	18	6	4	8	16-23	22
12. ზარია	18	4	7	7	18-24	19
13. არიპვაი	19	3	9	7	18-27	18
14. ილიჩივეცი	19	4	6	9	26-45	18
15. სევასტოპოლი	18	3	5	10	12-30	14
16. მეტალურგი ზ.	18	2	4	12	8-23	10

ბომბარდირები: 11 - სელუზენი (დნიპრო); 9 - დევიჩი (მეტალისტი), იფაროო (ტავრია); 8 - სარკი (ვორსკლა).

თურქეთი

სუპერლიგა. XIV ტური წინ

ესკიშეჰირი-მანიზა 2:1

გოლები: 0:1 გუვენი (18), 1:1 ცეფრი (74), 2:1 კარადენიზი (86)

დღეს

კონია-კასიმფაშა	16:30
გაზჰანთეპი-ტრაბზონი	18:00
გენთლერბირლიგი-სივასი	19:00
ბუიუქშთპირი-ფენერბაჰჩე	21:00

ხვალ

კარაგიუმქი-ანკარაგიუჯუ	15:30
ბუშა-ანთალია	19:00
გალათასარაი-გენთლერბირლიგი	21:00
ბუშრა-ძიძერი	22:00

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. ტრაბზონი	13	9	3	1	29-8	30
2. ბურსა	13	8	4	1	23-9	28
3. ძიძერი	13	8	4	1	18-6	28
4. ფენერბაჰჩე	13	7	3	3	35-18	24
5. გენთლერბირლიგი	13	7	2	4	19-12	23
6. გენთლერბირლიგი	13	6	3	4	21-14	21
7. გაზჰანთეპასპორი	13	5	5	3	11-9	20
8. ანთალია	13	5	4	4	16-17	19
9. კარაგიუმქი	13	5	3	5	20-21	18
10. გალათასარაი	13	5	2	6	14-17	17
11. ანკარაგიუჯუ	13	4	4	5	18-20	16
12. ესკიშეჰირი	14	3	6	5	11-15	15
13. მანიზა	14	5	0	9	18-24	15
14. გენთლერბირლ.	13	3	4	6	11-20	13
15. კონია	13	2	4	7	13-22	10
16. სივასი	13	2	4	7	14-29	10
17. ბუშა	13	1	5	7	7-18	8
18. ბუსპორთი	13	1	4	8	11-30	7

ბომბარდირები: 9 - აღუნი (ფენერბაჰჩე); 8 - ნინანგი (ფენერბაჰჩე), უმუნი (კარაბიუკი).

საბერძნეთი

სუპერლიგა. XII ტური წინ

დღეს

ერგოტელისი-ლარისა	19:15
პანსერაიკოსი-პარისი	19:15
აია-ოლიმპიაკოსი	21:30

ხვალ

ასტერასი-ატსენი	17:00
ვოლოსი-კავალა	17:00
პანიონიოსი-პრაკლისი	17:00
პაოკ-პანათინაიკოსი	19:15
კერკირა-პანათინაიკოსი	21:30

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპიაკოსი	11	9	0	2	25-5	27
2. პანათინაიკოსი	11	7	3	1	19-10	24
3. აპოელი	11	5	3	3	12-9	18
4. პაოკ	11	5	2	4	12-12	17
5. აეკ	11	5	1	5	17-13	16
6. პარისი	11	5	1	5	8-9	16
7. ვოლოსი	11	3	6	2	13-12	15
8. ერგოტელისი	11	3	6	2	10-10	15
9. ასტერასი	11	3	5	3	9-11	14
10. კერკირა	11	3	4	4	11-12	13
11. ლარისა	11	2	5	4	8-9	11
12. პანსერაიკოსი	11	2	5	4	10-14	11
13. ატსენი	11	2	5	4	9-14	11
14. პანსელონიკოსი	11	3	2	6	10-15	11
15. ეროტოკლისი	11	3	1	7	8-17	10
16. პანიონიოსი	11	3	1	7	7-16	10

ბომბარდირები: 10 - ფ. სისე; 7 - მარკოპანოსი (ოლიმპიაკოსი); 6 - ორეკუარი (აეკი); 5 - ვანმბანინი (პარისი), ჯაფური (აეკ).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნებერიძემ

ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა ალან შირერმა აღნიშნა, რომ მის სამშობლოს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის შესანიშნავი შანსი აქვს. «მე და მოდელმა კელი ბრუკმა მივწერეთ ფიფას ინგლისის კანდიდატურის მხარდაჭერის თხოვნის. ჩვენ გარდა ამ წერილს 1,7 მილიონი ხელმოწერი ჰყავს! არა მგონია, სადმე, რომელიმე ქვეყანაში ამდენ ადამიანს მოეთმინებლად ხელფას მუნდიალის გამართვა მის სამშობლოში. ჩვენთან გაიმართა ევრო-96 და ყველაფერი მაღალ დონეზე იყო. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი სტადიონები და მონცრიგებული სატრანსპორტო სისტემა, ამიტომაც, მივიჩნევ, რომ ძალიან კარგი შანსი გვაქვს», - განუცხადა goal.com-ს შირერმა.

გერმანია ურუგვაის კიდევ ერთხელ გაუხლიბრება

გერმანიის ნაკრები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდება ურუგვაის გუნდს. შეგახსენებთ, რომ ეს ნაკრებები მუნდიალზე მე-3 ადგილისთვის მატჩში შეხვდნენ ერომანოს და გერმანელებმა 3:2 იმარჯვეს. ახლა ეს ორი გუნდი 2011 წლის 29 მაისს ამხანაგურად გეჯგიმრება. შეგახსენებთ, რომ ბუნდესგუნდს 9 თებერვალს ამხანაგური მატჩი ოტალიის ნაკრებთან ექნის.

55:0 საფეხბურთო ანგარიშია

ინგლისის რეგიონული ლიგის მაგრში უჩვეულოი ანგარიში დაფიქსირდა - «ილოგანმა" "მედრონს" 55:0 სძლია! ამ მატჩში გოლი ყოველ 100 წამში ერთხელ გადიოდა. ეინმე **ლიუ ებოტ-სმითმა** კი 10 გოლი გაიტანა, მას ორი გოლით ჩამორჩა **გარეთ პიტი**, ლიუ ჰეილმა კი «მხოლოდ" 7 გოლი იკმარა. "მედრონი" თამაშზე 7 ფეხბურთელით გამოცხადდა, კარიბი ისეთი ადამიანი ეყენა, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ეკეთა ხელთათმანები.

თუმცა ეს შედეგი არაფერია 2002 წლის რეკორდთან, როცა კუნძულ მადაგასკარზე ერთმა კლუბმა მეორეს 149:0 მოუგო.

დინამო არსენალი უარით გაისტუმრა

ზპრემის "დინამოს" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ამას წინათ მათ უარით ლონდონის «არსენალი" გაისტუმრეს. «არსენალს" სურდა 18 წლის **შიგერსალოს** და 16 წლის **მატეო კოვაჩიჩის** შეძენა, ორივე მათგანი ხორვატიაში ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფუტბერთელად მიიჩნევა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ზდრავკო მამიჩი** ამბობს, რომ «არსენალი" 20 მილიონ ევროს იხდიდა: «ათ დღის წინათ ზაგრებში «არსენალის" წარმომადგენლობა ჩამოვიდნენ. ისინი ერსალოს და კოვაჩიჩის სანაცვლოდ 20 მილიონს გვირთმევდნენ, მაგრამ ჩვენს «დინამო" დარრენ სურდათ. ჩვენ ფუტი არ გვიყიდის, ამიტომ ფეხბურთელების სურვილი ჩვენთვის უმთავრესია".

ორშმა წაიღო

ნიიმეგის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **ვილსონ ორშმა** ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. 33 წლის ორშმამ ამის შესახებ მედიას გუშინ აუწყა. 1993 წელს ის ონლორდში ამ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 1996-ში კი - ოლიმპიური ჩემპიონი. თითქმის მთელი კარიერა ორშმამ საფრანგეთში გაატარა, სადაც «ლანსის", «ნანსის", «სოშოს", მარსელისა" და «გენგამის" ღირსებას იცავდა. ნიდერიელს ასევე თურქეთში, შვეიცარიაში და საბერძნეთში უთამაშია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ზე ედუარდო კარგად უკრავსო...

ბრემენელი მუსიკოსები ბრაზილიელს უხმოებენ

ბრემენის „ვერდერი“ ჩემპიონთა ლიგიდან სამარცხვინოდ გავარდა, რითაც უეფასგან დიდი შემოსავლები დაკარგა. ბრემენული კლუბი ბუნდესლიგიდანაც ძალიან ცუდად გამოიყურება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კრიზისშია. საქმეს უკვე ისეთი პირი უჭირს, რომ სეზონის ბოლოს „მუსიკოსები“ რამდენიმე ნამყვან ფეხბურთელსაც დაკარგავენ. მაგალითად, ჰორტუგალიელ თავდამსხმელ **უგო ალმეიდას** სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და დღევანდელი გადასახედიდან მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება გამორიცხულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაფხულში ალმეიდა „ვერდერს“ უფასოდ დატოვებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვერდერიდან“ აბარგებაზე სეროზულად ფიქრობენ დაცვის ბურჯი **პერ მერტეზაკერი**, მეკარე **ტომ ვიზე** და ნახევარმცველი **მარკო მარინიც**.

„საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვართ, რის გამოც სასწრაფოდ უნდა აუმოქმედდეთ. თუკი წელს რომელიმე ევროკუპრინირის საგ ზურს ვერ მოვიპოვებთ, ნამყვანი ფეხბურთელების გაშვება და სახელფასო ფონდის შემცირება მოგვინევს,“ - ეს სიტყვები ბრემენული კლუბის სპორტულ დირექტორს, **კლაუს ალოფსს** ეკუთვნის.

„ბილდის“ ინფორმაციით, „ვერდერი“ ზამთარშივე პირების შემადგენლობის გადახალისებას. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, „მუსიკოსებს“ ბრაზილიელი ფეხბურთელის, **ჯოზე ედუარდო ბიშოფე და ალმეიდას** შეძენა სურთ – ეს არის 23 წლის თავდამსხმელი, რომელსაც შემოკლებით ზე ედუარდს ეძახიან. ახალგაზრდა გოლეადორი „სანტოსის“ ღირსებას იცავს (50 თამაში, 18 გოლი) და „ბილდის“ ცნობით, ბრაზილიური კლუბის ხელმძღვანელები მის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს ითხოვენ. გაირკვა, რომ 15 დეკემბერს ზე ედუარდოს აგენტი ბრემენში ჩავა და „ვერდერის“ ბოსებთან მოლაპარაკებებს გამართავს.

ბაიერნი

შალკესა და გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერი

ვან გაალს ნოიერი არ უნდა!

ლუისის ჯილა თომას კრაფტია

მიუხედავად იმისა, რომ გაიჩინასპირება მწიფდება. „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს მომავალი სეზონისთვის „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების მეკარის, **მანუელ ნოიერის** შეძენა სურთ – 24 წლის გოლკიპერი მიუხედავად კლუბის ხელმძღვანელებისთვის სასურველი მოთამაშეების სიაში პირველ ადგილზეა. ნოიერს „შალკესთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი ფასი მინიმუმ 20 მილიონი ევროა. „ბაიერნის“ ბოსები, პრეზიდენტი **ული ჰაინესი**, ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** მზად არიან, „შალკეს“ 20 მილიონი გადაუხადონ, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა...

რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ნოიერში ამდენი ფულის გადახდის აუცილებლობას ვერ ხედავს. ბავარიელების ჰოლანდიელ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ვეტერინი **ჰანს-იორგ ბუტის** წასვლის შემდეგ, „ბაიერნის“ პირველი მეკარე 22 წლის **თომას კრაფტი** უნდა გახდეს, რომელიც ახლა სათადარიგო კიპერია. ვან გაალის აზრით, კრაფტი მზადაა იმისათვის, რომ ბუტი შეცვალოს.

მას მერე, რაც „ბაიერნს“ ვან გაალი წვრთნის, კრაფტმა ორ ოფიციალურ მეხვედრაში ისპარტზა – გერმანიის სუპერთასზე „შალკესთან“ (2:0) და ჩემპიონთა ლიგაში რომასთან (2:3). აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა კიპერმა ორგეჯერ ძალიან კარგად ითამაშა და საყოველთაო ქება დაიმსახურა.

„ბაიერნის“ ხელმძღვანელებს კი ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ კრაფტი ღირსეული მეკარე იქნება, რადგან უკვე აქვთ ცუდი გამოცდილება: თუ გახსოვთ, **ოლივერ კანს** ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, „ბაიერნის“ კარში **მიხაელ რენზინგი** ჩადგა, რომელსაც პირველწოწორობისთვის ძალიან დიდხანს ამზადებდნენ, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა (სხვათა შორის, დღეს რენზინგი უკლუბოდაა). ასე რომ, ჰიონჩსს და რუმენიგეს რისკზე წასვლა აღარ სურთ და მზად არიან, ნოიერში 20 მილიონი გაიხარჯონ (თანაც, ამით ხომ უშუალო კონკურენტსაც დაასუსტებენ).

„ბუტს და კრაფტს კონტრაქტები სეზონის ბოლოს უმთავრდებათ და მხოლოდ იანვრის შერე გადაწყვეტენ, როგორ მოვიქცეთ სამომავლოდ“, - ეს ნერლინგერის ოფიციალური განცხადებაა.

ჟამკვეთი ამბები

აუშ ვიდერზეენ რაკიბიჩს?

იანვარში მისაღება ფასად ან ზაფხულში უფასოდ

სამწუხარო ისეთი პირი უჭირს, რომ ხორვატიის ნაკრებისა და „შალკეს“ ნახევარმცველი **ივან რაკიტიჩი** სეზონის ბოლოს გელზენკირხენულ კლუბს დატოვებს. რაკიტიჩს „შალკესთან“ კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება და რაკი ახალ კონტრაქტის შესახებ დღემდე ბამართულმა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, იანვარს გელზენკირხენში დარჩენა უკვე ფაქტობრივად გამორიცხულია.

„უკვე ვსაუბრობთ ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ ივანისა და ჩვენი გ ზები გაიყრება“, - განაცხადა გუშინ „შალკეს“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელქს მაგათმა**. ფეხბურთელის მრჩეველმა **მიხაელ ურშელერმა** კი უფრო კონკრეტული განცხადება გააკეთა - ესპანურ „ასს“ უთხრა, რომ მისი კლიენტი „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს არაფრისდიდებით არ გააფორმებს.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ რაკიტიჩმა ზაფხულში „შალკე“ უფასოდ უნდა დატოვოს და თუ გელზენკირხენელებს მისი ტრანსფერიდან ფინანსური სარგებლის ნახვა სურთ, მაშინ ხორვატი ნახევარმცველი იანვრიში უნდა გაყიდონ. შეგახსენებთ, რომ ივან რაკიტიჩი „შალკეში“ 2007 წელს „ბაზელიდან“ გადავიდა და „ხუმარებმა“ მაძინ შეეიცარიული კლუბს ხუთი მილიონი ევრო გადაუხადეს.

გოტფრიდ ლენცი

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია
IBSF GEORGIA

ნებისმიერი ორთაბრძოლისა თუ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენელს, სქესისა და ასაკის განურჩევლად გთავაზობთ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე დამყარებული სპეციალური სისტემით ვარჯიშს, რომელიც, ღრმის უმოკლეს პერიოდში ბარანტირებულად აბიგარლებთ ფიზიკურ-ფუნქციონალურ მაჩვენებლებსა და გამოგიმუშავებთ განსაკუთრებულ ძალასა და გამძლეობას!

საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს ინდივიდუალურ რეჟიმში და იგი უფასოა!!!

მეცადინეობებს ჩაგიტარებენ მსოფლიო და სხვა საერთაშორისო პრესტიჟულ ჩემპიონატებზე მრგვალგზის გამარჯვებულ სპორტსმენთა ალეზრდილი მწყალებლები!

ვარჯიშები მიმდინარეობს "ლაგუნა-ვერა"-ს ტრენაჟორების დარბაზში
სამშაბათობით და ხუთშაბათობით 18:00-20:00 სთ პერიოდებში. დაგვიკავშირდით: 899 584859

ჩვენთან ვარჯიშით, სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლებს, მაგალითად: ფეხბურთელებს, რაგბისტებს, კალათბურთელებს, ჰიდროციკლისტებს, მოკრივეებს, რეალური საშუალება გეძლევათ მიაღწიოთ ფიზიკურ-ფუნქციონალურ მაჩვენებელთა განსაკუთრებულ დაღლ დონეს! მათ შორის, ფეხბურთელებს, ივნვრის სატრანსფერო სეზონს შეხვდეთ იდეალურ ფორმაში!!!

სპორტ-კომპლექსი „ლაგუნა-ვერა“

შეგასწავლით კარატეს უფასოდ!!!

ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანი რეგისტრაციის გავლით შეძლებს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო ფედერაციაში და შესაბამისად მასაც გაეხსნება ინდივიდუალური საერთაშორისო ბელტ-ასპირანტის!!
მობ: 899 584859





www.geofight.ge
E-mail: geo.fight@yahoo.com
მობ: 899 58 48 59

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

ამჯერად სიმშვიდე და ახალგაზრდობამ გაიმარჯვა

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატის გუშინდელი დღე ბევრად უფრო მშვიდი გამოდგა, ვიდრე - პირველი. დღის პოლოს სპორტსმენთა შორის მომხდარ მცირე შელაპარაკებას თუ არ ჩავთვლით, ამჯერად ყველაფერი ჩხუბისა და აყალ-მაყალის გარეშე დამთავრდა. გუშინწინდელთან შედარებაც არსა, ისეთი სიმშვიდე სუფევდა დარბაზში და ეს იმის მიუხედავად, რომ დაცვის სამსახური არც გუშინ ყოფილა მობილიზებული.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საორგანიზაციო საკითხებზეც ასევე მაღლობაა სათქმელი. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ - საქართველოს ჩემპიონატი ბევრად მეტ პატივისცემას იმსახურებს. არ გეგონოთ, ეს მხოლოდ ჩვენი აზრია - სახელოვანმა ვეტერანმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გურამ საღარაძემ გულისტკივილი გამოთქვა, რომ გახსნა-დახურვის ცერემონიალი საეროდ არ გამართული და, შესაბამისად, არც დრომა აწყვია და პოდი აფცერებულა. საქართველოს პირველობაზე ყველაფერი წესრიგში უნდა იყოსო, გვითხრა ვეტერანმა.

84 კგ

როგორც იქნა, ყაზბეგელმა **დავით მარსაგიშვილმა** ისეთი ჭიდაობა გვაჩვენა, მისი საკმაოდ გაჭიანურებული ჯრიხის დაძლევის იმედი მოგვეცი. ახალგაზრდებში ეროვნის ვიცე-ჩემპიონს ცოდნად დიებედა ინნისში **ვახტანგ ბალავაძის** ტურნირის ფინალში გასცდა - მას შემდეგ ყველგან ნააგო. ამ ტურნირზე მას ისევ მოუნია საკუთარ ძმასთან - **ირაკლი მარსაგიშვილთან** შეხვედრა. მათ ერთმანეთში ქვეყნის შარშანდელ პირველობაზეც იჭიდავეს - ბრინჯაოსთვის, თუმცა მაშინ დავით ხალიჩაზე არ გასულა და ძმას უბრძოლველად გადაულოცია გამარჯვება. მაშინ მას ახალგაზრდული ნაკრები ელოდა და ძმას ამიტომაც ჩამოცდა გზიდან. ამჯერად საკუთარი ძმის გარდა სამპრეტენდენტო **ზურაბ ახობაძე**, გორელები - **გიორგი ლოჯიშვილი** და **ლევან ფოლიანი**, თბილისელი **თორნიკე სვანიძე** და ცვარელები **დავით ახალმოსულიშვილე**ბი დაამარცხა. ფინალისტენ გზა აჭარის ნარმომადგენელმა **ბექა ჭელიძემ**ც გაიკაფა გორელი **ნოდარ ევგანის**, თბილისელი **დიმიტრი ქორჩიშვილის**, აჭარელი **ვეფხვია ჯოჯუაძის** და გურჯაანელი **არჩილ ქიტაშვილის** ძლევით. ჭელიძე მარსაგიშვილზე უფროსია და უფრო გამოცდილიც, მათი შეხვედრაც ძალიან სანტერესო გამოდგა, სადაც მარსაგიშვილმა პირველი პერიოდი ილეთით მოიგო, მეორეში კი ბურთული მას ამოუვიდა — ბარეთ გაიყვანა. ჩემპიონის გუროს სალარაძემ შედეგი და საკუთარი ნიგნი - „შემკეიდრეობა" უბონა.

1. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 2. ბექა ჭელიძე (აჭარა), 3. ირაკლი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), არჩილ ქიტაშვილი (გურჯაანი).

96 კგ

გუშინდელი ფინალებიდან დაძაბულობა და სილამაზე არც ერთის აკლდა, მაგრამ ამ წონისა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო გამოდგა. ერთმანეთის თბილისელები - **ბელდუხ გვანცელიშვილი** და **ელიზბარ ოდიკაძე** შეხვდნენ. ოდიკაძემ ღირსეული წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ გვიამეღამისვე დამსაჯურებულად გამმარვება. ის შარშანდელ გავიდა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, თუმცა მაშინ **გიორგი გოგშელიძესთან** დამარცხდა. ურიგოდ ნამდეილად არ უქმიათია, მაგრამ გოგშელიძის ხალიჩაზე დაბრძენებამდე ნაკრების ლიდერობაზე ლაპარაკი ნაადრეცი.

1. **ბელდუხ გვანცელიშვილი**, 2. **ელიზბარ ოდიკაძე**, 3. **ლერი ქვითარია** (სამეგრელო - თბილისი), **დავით ქერაშვილი** (ყაზბეგი).

120 კგ

დავით მომძმანაშვილის ჭიდაობაში პროგრესი საგრძნობია. ცხადია, მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო ძველი კონდიციების დასაბრუნებლად, ისიც ეტყობოდა, რომ ძალებს ი'ზოგავდა და ბოლომდე არ იხარჯებოდა, მაგრამ წინსულიც აშკარაა. მისასალმებელია, რომ პროგრესის გზაზე დადგა, დანარჩენი კი დროის და შრომის ამბავია. რა დასამალია, მას ცოტა შიშიც გაუჩნდა, რომ უდღისნეგროდ შედგეს ვერ მიაღწევდა. მთავარია, ეს შიში დასაძლეიოს და ორნბუნოს, რომ ნარმატებების მოპოვება უამისოდაც შესაძლებელია. ვფიქრობთ, ამ დასკვნამდე უკვე მიეიდა, ახლანდელი გამარჯვება კი კიდევ უფრო სწრაფად დაადლევინებს ამ ბარიერს. მწერთნელ **დავით ხურციას** მონადინებით, მან რამდენიმე კვირა **გიგი მაზმიშვილთანაც** იარა სვანსებზე. ალბათ, ამანაც იქონია გავლენა. ისიც კარგის ნიშანია, რომ რიგ შეხვედრებში სტრატეგიულ მატოქეებს ძალების დაზოგვითაც კი მოუგო. მაგალითად, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ **გიორგი საკანდელიძეს**. აქვე გეტყვით, რომ მანამდე თბილისელ **მირიან ბურდულაძეა** და ქუთაისელ **ლომა ცერესელიძეს** ებლია.

ლევან ბერიანიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა სიძლიერე, თუმცა მოგეეწევა ნა, რომ ცოტა სითამამე აკლია და შეტევაზე თითქოს ისე აქტიურად არ მიდის. ცხადია, სიფრთხილეც კარგი თვისებაა, მაგრამ ცოტას თუ გარისკავს, არ იქნება ურიგო. ალბათ, ამას დრო და საბურნერო პრაქტიკა მოიტანს. ფინალამდე მან თბილისელ **ლაზარე მარსაგიშვილს**, ყაზბეგელ **ლევან სეთურიძეს** და თბილისელ **გიორგი ნიკურაძეს** აჯობა.

ფინალი დაიპპირდა და სამ პრიორიდან გაჭიმული გამოდგა. პირველში გამარჯვებული ბურთულამ გამოაელინა - ბერიანიძემ მომძმანაშვილის ფერი ამოილო და არც იმას გაასჭირვებია ქულის მოხვეჭა. ბერიანიძემ მეორეში ანგარიში უკვე გდებით გაათანაბრა, დამაგებებით კი ისევ ფრედ დამთავრდა და სამქე კვლავაც ბურთულამდე მივიდა. ამჯერადაც ფეხში მოძმანაშვილი შეეედა და ქულაც მოიპოვა.

კარგად იჭიდავეს საკანდელიძემ და ნიკურაძემაც. საკანდელიძემ ბრინჯაოს-თვის ბრძოლაში ევროპელთან ერთი პერიოდი ქულებით სუფთად მოეგო, ნიკურაძემ კი ძალიან ლამაზი გდებებით დაამარცხა სეთურიძე. ბოლო ტურნირებთან შედარებით, მასაც მოუმატებია, მთლიანობაში კი ორივე კვლავაც რჩება წონის ლიდერთა სიაში.

1. **დავით მომძმანაშვილი**, 2. **ლევან ბერიანიძე**, 3. **გიორგი საკანდელიძე**, **გიორგი ნიკურაძე** (ცაცხა - თბილისი).

რემპიონატს დასრულების შემდეგ შეფასება ეროვნული ნაკრების თავკაც



დავით მომძმანაშვილი

ზაზა თურმანიძეს ეთხოვეთ: „ამ ტურნირმა შეასრულა ის დანეირთვა, რაც საქართველოს ჩემპიონობა უნდა ჰქონოდა. წმინდა სპორტული თვალსაზრისით, საბედნიეროდ, დადეპითი მხარე მეტი იყო. 55-ში ისევ კარგად გამოვიდა ელადიმერ ხინჩეგაძეიდა. ალბათ, ლიგიურია მალხაზ ზარქუას გამარჯვებაც 60-ში, თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოჩნდა ძალიან კარგი ქუთაისელი ბიჭი - ბექა ლომთაძე. ეს ჩემპიონობის აღმოჩენა და ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო. სამწუხაროდ, სელექციის მხრივ გვიჭირს 66-ში, 74-ში კი ახალგაზრდა დავით ხუციშვილმა გაიმარჯვა. 84-ში ისევ შეინარჩუნა ლიდერობა ბასკაზარდი დავით მარსაგიშვილმა, 96-ის კონკურენციაშიც ახალი მძიმეშიც დიდი კონკურენციაა. მისასალმებელია ახალგაზრდების ასეთი წარმატება და კარგი გამოსვლა. დავინახეთ, რაც დასანახი იყო, დანარჩენი კი მომავლის საქმეა - უნდა ვიმუშაოთ. ცხადია, ეკონომის ჩემპიონობაზე წასვლის მთავარი ვანდილატები ჩემპიონები არიან, თუმცა ეს იმაზეცაა დამოკიდებული, რამდენად კარგად გაიყვიან ისინი მოსაწრთვებელ პერიოდს და იმ დროისთვის ვინ იქნება უკეთეს ფორმაში".

ირაკლი თაბაძე

● ჭიდაობა. გურამ სალარაძის ტურნირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიური განდობანა რაჭაში

სალარაძეები ამბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონიდან არიან. თავისუფალი ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **გურამ საღარაძე** ნიანაურთა ფესვებს არ ივიწყებს. მისი მამა რევაზი და ბიძა იორამიც თავისუფალი ჭიდაობის კარგი ოსტატები იყვნენ.

ამბროლაურის რესპუბლიკურებულ სპორტკომპლექსში გურამ საღარაძის სახელობის შემდეგი ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ადგილობრივები დიდ პატივს სცემენ ქიდაობას და, რაც თქმა უნდა, იქაური მინახყლის სახელოვან შეილებს.

ნლევანდელი ტურნირი შეიძლება ითქვას, კაკალასურ-საცრიათმორისო იყო - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ჭაბუკები იბრძოდნენ გამარჯვებისთვის.

მონანილებს ამბროლაურელებმა სანლები უმასპინძლეს, რითაც ეროთ კმაყოფილი დარჩნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც.

ტურნირს მთავარი მსაჯიც სახელოვანი პყავდა - საერთაშორისო კატეგორიის ექსპერტს ალმაგი გამოცდილი არბიტრი **ჯუმბერ დავლიანიდ**.

სტუმრები მოიხიბლენ ამბროლაურის დასუფთავებული ქუჩა ბანდებით.

სტუმრებისთვის ყურადღება არ დაუელია, პრეზიდენტის ოწმენებული რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში **დავით გაგოშიძემ**, ამბროლაურის გამგებელ **ლევან ჯმუხაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარე **კახაბერ ფარჯანაძეს**, კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორ **ბაგრი სარდანაშვილს** და ამბროლაურის უსაფრთხოების სამსახურს. ასეთი ერასულოვნებით ტურნირები ყოველთვის სანიმუშო გამოდის, რაც სხეებმაც უნდა გაითვალისწინონ. სხვათა შორის სანიმუშო და გამორჩეული იყო მეელეები და პრიზებიც.

მომავალ სეზონში ტურნირი, როგორც თვითონ გურამ საღარაძემ გვითხრა, უფრო მასშტაბური გახდება.

საზეიმო ვახშამზე ქართული „განდაგანა" ერთად იცეკვეს ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა და სომხებმა, — მოჭიდავეებმა, ორგანიზატორებმა, მსაჯებმა და მწერნილებმა...

წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს (160 მონანილე ორ ასაკობრივ ჯგუფად გამოდიოდა).

უმცროსი ასაკი (1998-2000 წლებში დაბადებულები): 23 კგ. გიორგი გეგელაშვილი (გორი), 26 კგ. ნორეკ ასატრიანი, 29 კგ. რობერტ ანდრიასიანი (ორივე-სომხეთი), 32 კგ. თემურ ვანიშვილი (გორი), 35 კგ. ჯონი დიასამიძე, 38 კგ. ირაკლი მხეიდე (ორივე-აჭარა), 42 კგ. გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯო).

უფროსი ასაკი (1994-1995 წლებში დაბადებულები): 46 კგ. ლევან მურკვეელაძე (ონი), 50 კგ. შალვა ხუციძვილი (გორი), 54 კგ. ზურაბ ყოფლანიძეო (თბილისი), 58 კგ. ნიკა ნონოლაშვილი (რუსთავი), 63 კგ. ჩრვაზ მნიფორი, 69 კგ. მალვა ჭადაშვილი, 76 კგ. ირაკლი მნიფორი (სამეგრ-თბილისი), 85 კგ. ბექა როქლაშვილი (საგარეჯო), 100 კგ. გენო მეტრიაშვილი (გორი).

გაბრიელ ბარჭაძე

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. კარავაევის ტურნირი

მასპინძლებმა ვერცხლი გვარგუნეს

ჩვენებმა ბერძენ-რომაელებში მინსკში გუშინ გამართულ ოლეგ კარავაევის მემორიალზე ფინალური შეხვედრა დათმეს მასპინძელთა პირველ ნაკრებთან და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ფინალში ნაგება საწყენია, მაგრამ ჩვენებმა მანამდე ნამდეილად იყოსაღეს. ისინი უფრო ძლერ ქვეჯგუფში მოხვდნენ, თუმცა სიძნელეებს არ შეუშინდნენ - რუსებს 4:3, ამერიკელებს — 6:1, უკრაინელებს - 5:2 მოუეეს. ფინალში გასასელელ შეხვედრაში კი სულაც უდანაკარგოდ აჯობებს მასპინძელთა მეორე გუნდს - 7:0. ცხადია, ამათგან ყველაზე გამოსარჩეენ რუსებთან მოგებაა, რადგან ისინი სიძლიერით ყველას აღემატებოდნენ. თან, როგორც მინსკიდან ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ გვაცნობა, შემადგენლობაც საბრძოლო ჰყოლიათ...

ფინალში ბელარუსთა პირველი გუნდთან ჩვენებმა სამი ქულა მოიპოვეს მოიგეს - **ლაშა გოგიბაძემ** (55) და **რევაზ ლაშმა** (60). სამწუხაროდ, დანარჩენთაგან მხოლოდ ვლადიმერ გეგეშიძემ (84) იმარჯვა და 3:1 დაემარცხებინა. მოეელენათა ასეთ განვითარებას ჩვენები უფრო მსაჯებს მიაწერენ. იქნებ, მართლაც ასე იყო - გამარჯვებული 60 ათას დოლარს იღებდა. თან ამ თანხას მთლიანად ბელარუსის ფედერაცია იხდიდა და რა გასაკვირია, სხვისთვის არ გაიცნობიერებ.

ირაკლი თაბაძე

● სპორტ სამყარო

ქებაბი ქებაბარუნ

www.japan-sumo.ru

ბრწყინვალე შემობრუნება - თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ **გაგამარუს (თემიფრაზ ჯუეული)** გამოსელას კიუშუს ბამოზე. 23 წლის ქართველი ყველაზე მძიმეა ელიტაში (თითქმის ორ ცენტნერს ინონის), რაც, ცხადია, დიდი უპირატესობაა, მაგრამ გაგამარუ ხომ გამოუცდელია, მესამე ბამოა, რაც ელიტაში ჭიდაობს. სწორედ ამიტომ თემიურაზმა ტურნირი კატასტროფულად დაინყო - 6 დღის შემდეგ 1-5 ბალასი ჰქონდა და ჩვენებურთაგან ყველაზე პირველი „ჩამოწეერეთ". საბედნიეროდ, შეეცადეთ და ახლა გაგამარუ ერთადერთი ქართველია, რომელსაც ნოემბრის ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსი აქეს, თანაც კარგი შანსი. მან თითქმის შეუძლებელი გააკეთა - 7 ოქიბრძოლიდან 6 მოიგო და ახლა მხოლოდ ერთი მოგება აშორებს მიზანს.

7 მოგებიდან გაგამარუმ 5 მძლავრი, რაგბეული მნიშვნელობის (ოშდოში) მოიპოვა, ორი კი მავაშის წაჭიდებით და შეშდეგ მნილით (იორიკირი). გუშინ ქართველმა იორიკირი წინეის წარმომადგენელი **სოყოკურაი** დაამარცხა. აღმოსავლეთის მე-10 მაეაშორამ დღესეე შეიძლება ყველაფერი ნარმბატებით დაასრულოს - თუკი კოტოკასუკას (4-9) დაამარცხებს. კოტოკასუკამ მოტფიცია დაკარგა - უარყოფით ბალანსს ვერ გიექცევი და არც გვაკრძალა ემუქრება ელიტიდან. ისე, ქართველს ბასთან ურარყოფით ბალანსი აქეს (1:2).

ტორინოშიმა (ლევან გორგაძე) კიდევ მოიგო, ამჯერად ქართველმა კიუშუსების მე-3 მაეაშორა **კიტაბაკი** დაამარცხა. დღეს ტორინოშინი (5-8) ოში.კიძეს (6-7) შეერკინება. ცოტა ადრე რომ გამოეხილ ზღეებულიყო ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი, ვგეტ, კიმუსუების ტატუები აღარ დაეკარგა. როგორც ნესი, ლევანი **ოშიკაძეს** უგებს - 5:1.

კიუკუტენჰო, **გაგამარუ**-სოკოკურაი, ტოოსაიტეკა-მიაბიამა.

ცუკიოჩიმეი (2): კისენოსატო-ამინიშიკი, ეიკნოსატო-ჰოშპო.

ოჭიდაბი (2): ტაძავაში-ტაკეკაძე, ბუშუიამა-კიშურაიამა.

პაპაკიკიჩი (2): ტაკამისაკარი-**კოკაი**, კოტოკასუკა-მიკონამი.

უეატნებაგი (1): ბარუტო-კოტოოშუ.

ცუჩიდაში (1): ტოკიტენკუ-ოგინოში.

ორიტაიში (1): ტორინოსაკი-კასუკაო.

საბურნირო მდგომარეობა

12-1: **ჰაკუშო** (იოკოძუნა), **ტოიონშიმა** (მაეგაძირა) 9.

11-2: **ბარუტო** (ოძეკი), **კაიო** (ოძეკი).

10-3: **გოეიდო** (მ 14).

9-4: **კისენოსატო** (მ 1), **ტამავაში** (მ 8)... 7:6: **გაგამარუ** (მ 10)... 5-8: **ტორინოშინი** (კიმუსუები)... 4-9: **კოკაი** (მ 6).

ნიკოლოზ ნებსარიძე

● კალათბურთი. ჩვენ და ევროპა-საკითხი

მიშინკო, ზურიკო და ელვისებური კალათბურთი

ევროპა-კაპები 1969

ნეაპოლი, პალაშრა (იტალია)
1:0 ბაზე. A ჯგუფი

სსრკ-უგბრალები	95:63
საბანდერიდან: 18 ქულა, 2 ფოლი.	
სსრკ-საბერძნეთი	83:63
საბანდერიდან: 10-ჯ, 4ფ.	
სსრკ-ჟეთლები	91:47
საბანდერიდან: 4 ქულა.	
სსრკ-ბულგარები	85:62
საბანდერიდან: 2-ჯ, 1ფ.	
სსრკ-იუგოსლავია	61:73
საბანდერიდან: 6-ჯ, 3ფ.	

	თ	მ	ნ	სხ	ქ
1. იუგოსლავია	5	5	0	447/282	10
2. სსრკ	5	4	1	415/308	9
3. ბულგარები	5	3	2	359/363	8
4. უნგრები	5	2	3	335/380	7
5. საბერძნეთი	5	1	4	338/400	6
6. ესპანეთი	5	0	5	312/473	5

1/2 ფინალი

სსრკ-ჩეხოსლოვაკია 83:69
საბანდერიდან: 6-ჯ, 2ფ.

იუგოსლავია-პოლონეთი 76:74

ფინალი

სსრკ-იუგოსლავია 81:72
საბანდერიდან: 0-ჯ, 3ფ.

ევროპა-კაპები-1971

ესპონი, გიპუზკოის (ბერძნეთი)

I ეტაპი
A ჯგუფი

სსრკ-ჩეხოსლოვაკია	83:55
საბანდერიდან: 2-ჯ, 2ფ. მ. შორის: 2-ჯ, 2ფ.	
სსრკ-ბულგარეთი	91:54
საბანდერიდან: 7-ჯ, მ. შორის: 2-ჯ, 1ფ.	
სსრკ-ესპანეთი	118:58
საბანდერიდან: 2-ჯ, მ. შორის: 13-ჯ, 5ფ.	
სსრკ-საბერძნეთი	75:63
საბანდერიდან: 4-ჯ, 1ფ. მ. შორის: 2-ჯ, 2ფ.	
სსრკ-პოლონეთი	94:73
საბანდერიდან: 2-ჯ, 3ფ. მ. შორის: 8-ჯ, 2ფ.	

	თ	მ	ნ	სხ	ქ
1. სსრკ	5	5	0	461/303	10
2. პოლონეთი	5	4	1	405/376	9
3. რუმინეთი	5	3	2	349/368	8
4. ესპანეთი	5	2	3	352/412	7
5. ბულგარეთი	5	1	4	353/385	6
6. საბერძნეთი	5	0	5	322/398	5

1/2 ფინალი

სსრკ-იტალია 93:66
საბანდერიდან: 6-ჯ, 4ფ. მ. შორის: 2-ჯ, 1ფ.

პოლონეთი-იუგოსლავია 75:100

ფინალი

სსრკ-იუგოსლავია 69:64
საბანდერიდან: 8-ჯ, 2ფ. მ. შორის: 0-ჯ, 4ფ.

დღესაც ორ ევროპასკუბზე მოგითხრობთ. 1969 წელს იტალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ქართველთაგან მხოლოდ **ზურაბ საკანდელიძემ** ითამაშა, ხოლო 1971 წელს, გერმანიაში მას სსრკ-ის ნაკრებში **მიხეილ ქორქიაც** შეუმატნებოდა. ევროპის ორივე პირველობას საბჭოელთა გამპრვებიმო დასრულდა, თუმცა ბაცილებით დიდი ხმაურიმი მოაყვა 1972 წელს მონუხებულის ოლიმპიადაზე სსრკ-ის მიერ ამერიკელების ძლევას. ნებისმიერი, ვისაც საკანდელიძისა და ქორქიას გახსენება სურს, პირველ რიგში ლავაროკობს 1972 წლის ოლიმპიადის ფინალზე, რომლის პირველ წუთებზე საკანდელიძემ ოკანისგადამდელს შეიდილე აყარა. საბჭოთა ნაკრებში ქართველთა თანაგუნდელებიც პირველ რიგში, მოუხნინის ოლიმპიადაზე თავარა კობენი.

აი, რა დაწერა „სოვეტსკი სპორტმა" 2004 წელს საკანდელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „1972 წლის ოლიმპიადის ფინალში მოვლენათა განვითარება მკვეთრად აღუმატება ნებისმიერი პოლიგონდური ტრილერის ფინალს. სორენამდე 8 წამით ადრე (სსრკ 49:48-ს იგებდა) ბურთი მოუვიდა ცენტრ აღუქსანდრე ბელოვს. მას შეეძლო ასპი სერეი ბელოვისთვის თავი სუფლად გადაეცა, ასევე ბურთი ჩაეხეტქებინა და იატაკზე დანოლილიყო, მაგრამ მოულოდნელად, ბურთი უკან, დიაგონალურად ისროლა, იქით, საითაც საკანდელიძე (ცრიანმად ორი ამერიკელი მეურვეობდა) ეგულებოდა.

- გული გამიწერდა, - იხსენებს მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ კონდრაშინი.

ბურთს ამერიკელი დაგ კოლინზი დაეუფლა და საბჭოელთა კალათისკენ დაიორა. მას საკანდელიძე ჩამოეწია და, რა თქმა უნდა, დაჯარიმდა. ნარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მეტოქეს ზურაბი რომ არ დაეწიოდა: კოლინზი არ ჯარიმას არ ისროდა (თუმცა ჩაგდენ), ვინდრაშინი წუთშესვეწებას ვერ აიღებდა და რაც მთავარია, არ იქნებოდა ლეგენდარული 3 წამი, რომლის დროსაც ედუქმოს სასნაული ჯასით საშა ბელოვმა სსრკ-ს პირველი საკალათბურთო ოლიმპიური ოქრო მოუტანა.

მიხეილ ქორქია იხსენებდა:

- მოვში აღმოჩნდი, როცა მწვრთნელმა ამერიკელებთან მატჩამდე მითხრა, რომ მე და საკანდელიძეს სასტარტო ხუთეულში უნდა გვეთამაშა. ემოციებს ძლივს ვფარავდი. ზურაბი კი ამ ფაქტს მშვიდად შეხვდა. ამ მომენტისთვის იგი მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის პირველობის ოთხჯერ-ზის გამარჯვებული იყო. ძალიან ბრაზდებოდა, როცა მოუხნინეს ყოველ მატჩზე *15-18* წუთის ათამაშებდნენ. ფინალის წინ სსრკ-ს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სერგეი პაულოვმა კონდრაშინს ჰკითხა: საკანდელიძეს ცოტას რატომ ათამაშებო? მწვრთნელმა მთქვა - იგი ფინალში ჩვენს საიდუმლო იარაღად უნდა იქცეს. სხვათა შორის, ამერიკელებთან ზურაბმა 8 ქულა მოაგროვა და ალექსანდრე ბელოვთან ერთად-ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი **თენიეზეი** გახდა - 22 ბალი.



1971 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფოტოზე ვენერეალური მდივანი ვილიამ ჯონსი ზურაბ საკანდელიძეს აგიილდება

ალეან ფარშუამედოვი განაგრძობს:

- ზურაბი გუნდში ყველას უყვარდა. მას იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდა. მოკდანზე ზაზარეული იყო, მეტოქეს გასაცინს არ აძლევდა. მეტნეოს კი მისებრი სწრაფი კალათბურთელი ბევრი არ მეგულება. ზურაბს ბურთით ნაბიჯ-ბიჯ ვერ ეწეოდნენ სწორი გადაწყვეტილების მიღება. მოუხნენრი მატჩის გასნენებისას „ოქროს ასს" და „ოქროს ტურნირს" ვახსენებთ, არადა, გავიხსენდით საკანდელიძის ფოლი, რომელსაც ასევე „ოქროს" ღირებულება ჰქონდა.

სიტყვა ივან ედეშკოს დავუთმოთ:

- როგორც ვიცი, საკო ქართველი დიდებულების ბოთმამავალი იყო. ალბათ, მისი ღირსეული, ფეთქებადი თამაშიც იქიდან მოდგომად. იგი სსრკ-ის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მეკალთაგანი გახლდათ. გარეშეყვანის მეთოდით საკანდელიძისვის ბურთის ოთხი მეტრით წინ გადაკეთმაც შეიძლებოდა, რადგან აუცილებელად დაეწეოდა. როცა იგი მიხეილ ქორქასთან ერთად მოედანზე ალირშებდნენ, მხილოდ „მიშკო" და „ზურკო" ისმოდა. ამას მოსდევდა ელვისებური კალათბურთი. რეის კოლეჯიატია ვიდეოფორი, რომელმაც 1972 წლის ოლიმპიადაზე ამერიკელთა გამოსვლათა ალწერილი. მასში პოლიტიკა და სპორტი ერთმანეთშია არეული, ლასპრაკობენ ბრეჟნევსა და ჯასონზე და ამერიკელების ბომ თეთრებზე, მოგვიანებით კი ამერიკელების პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებზე. ამ ფონზე ბრეჟნევსა და ჯასონზე ნაკლებად საუბრობენ. ჩვეულებრივ ამერიკელი მეურვეობდა) ეგულებოდათ.

მაღლობა... ვაშინგტონს

ამერიკულ დღესასწაულ „მადლიერების დღეზე" „ატლანტა ჰოუქსმა" „ვაშინგტონ უიზარდსს" უმასპინძლა. NBA-ს ოფიციალურ საიტზე შეხედულის ასეთი სათაური ჰკონდა: „მადლობა... ვაშინგტონელებს". მართლაც, **ზაზა ფარჭალაძის** თანაგუნდელებმა ნაგებათა სამმატჩიანი სერია სწორედ დედაქალაქელებთან შეწყვიტეს.

პირველი მეოთხეის ბოლოსა და მეორის დასაწყისში ჯორჯიელებმა 9:0 გაქცევა მოაწყვეს და 34:18 დანიანურდნენ. 34-ე ქულა ზაზას ანგარიშზე იყო. ამის შემდეგ „ქორებმა" აკრეფილი სიჩქარე არ დაკარგეს და დამთვალირებლადაც გაიმარჯვეს - 116:96. საინტერესოა, რომ „ჰოუსის" ბოლო ორი ქულა ფარულიას ანგარიშზეა. მან მატჩი 4-4 ქულა-მოხსენით, 2 დაფარებით, 1 პასითა და 5 ფოლით დაასრულა. ჯორჯიელთაგან 20-ქულიან ნიშნეულს ორმა კალათბურთელმა მიაღწია - **ჯონსონმა** (21 ქულა) და **სმიტმა** (20).

სხვათა შორის, 10 ნოემბრის შემდეგ ზაზას პირველად ეერგო 20-ზე მეტი ხალთამაშო წუთი - „ვაშინგტონთან" მოგდანზე 20:29 წუთი გაატარა.

„ატლანტა" მომდევნო მატჩს 27 ნოემბერს ნიუ იორკში, „ნიუსის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

ზაზანაკა-ვაშინგტონი 116:96

ზაზას ფარულია: **20:29 წუთი, 4 ქულა (4-დან 1 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი), 4 მოხსნა, 1 პასი, 2 დაფარება, 5 ფოლი, 3 შეცდომა**

ვაჟა სიმონიშვილი

11 ციცაძე როკი

გიორგი ციცაძის „ტატუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში მე-12 მატჩია ჩაატარა და მე-11 გამარჯვება მოიპოვა. „როკერებმა" ტალინის ტატუ-ს უმასპინძლეს და 97:67 სძლიეს.

გიორგიმ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 17 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ასევე 11 ქულა ჩააგდო „როკის" მეორე გამოძამაშებელმა **ტიმუ სოკმა.**

ვაჟა სიმონიშვილი

● ქრივი. საქართველოს ჩემპიონატი

არ მოლენდეთ, გასხარენდეთ კონკურენცია...

საბარგველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა კრიეში, რომელსაც ქუთაისის სპორტის სასახლე მასპინძლობდა, მოსწანილეთა რეკორდული რაოდენობა (121) შეკრიბა საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან. ასპარეზობდა შეიარაღებული ძალების გუნდი. ათიეე წონით კატეგორიაში რინგზე თითქმის ყველა ძლიერი მოკრივე გავიდა, თუმცა დანაკლისიც იყო. 69 კგ-ში ლიდერს, **ჯაბა ჟვანიას** ხელი აქვს მოტეხილი და ტურნირს გამოაკლდა. ნაკრების კიდევ ერთ ლიდერ **კობა ფხაკაძეს** (60 კგ.) პრობლემიანობები უწნეს ჩხები და ამის გამო ტურნირიდან გააღოვინუფლეს. რამდენიმე ვიცი საქართველოში კრიეის პროფესიული ლიგა ჩამოყალიბდა, რომლის წევრები მოყვარულებში ასპარეზობის უფლებას ინარჩუნებენ. ფხაკაძესაც ნაკრებში დაბრუნებისა და მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის შანსი არ დაუკარგავს. მიზეზთა გამო ქუთაისში რინგზე არ გასულა მძიმეწონიანი **ბექა ლობჟანიძეც.** ჩემპიონატს თვალს ადევნებდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ფალიანი.** ძირითადად ამ ასპარეზობის შედეგებით დაკომპლექტებული გუნდი გაისად სექტემბერში ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატში ისპარეზებს. მანამდე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი და აქტიური მოსამზადებელი პერიოდი იქნება.

დაბაბულად წარიმართა ფინალური ორთაბრძოლების უმრავლესობა, რომლებსაც საქართველოს კრიეის ფედერაციის პრეზიდენი **პეტრე ცისკარიშვილი** და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გიგი წერეთელიც** ადევნებდნენ თვალს. ასპარეზობის მიმდინარეობითა და მოკრივეთა მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა რამაზ ფალიანი. აი, მისი მეფასებაც: ასევთ საინტერესო ჩემპიონატი კარგა ხანია, არ ჩატარებულა. მოკრივეები სერიოზულად იყვნენ მომზადებული და კარგი ორთაბრძოლები ვიხილეთ. რაიმე უკმაყოფილება რომ გამოვაცხადო თურ ქვეითად ორნი ნეიტრალური მსაჯი გვყავდა მოწვეული. არცერთი საინტერესო ახალგაზრდა გამოიკვეთა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ჩემპიონატის მოგებით ნაკრებში მოხვედრა გარანტირებული აქვთ. ბანსი მეორეადგილიანებსაც და იმ მოკრივეებსაც მოეცემათ, რომლებიც ჩემპიონატში ვერ ასპარეზობდნენ. მათ საერთაშორისო ტურნირებზე და შეკრებებზე გამოვიდით. მოკლედ, მოდერების საშუალება არავის ექნება და ეს კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის."

კალენდარი

46-49 კგ: 1. გიორგი გოგაბაშვილი (ფოთი), 2. ალექსან ჩეჩელაძე (ახალქალაქი), 3. ზვიად დოლაბიძე (ახალი), 3. მიხეილ გაზაბერაძე (ბორჯომი).

52-56. 1.გიორგი კოლბაია (ფოთი) 2.გიორგილ ჭუბაბრია (ახალი) 3.ვეფხვე ერნანოსიანი (ახალქალაქი) 3.ცოვერიან ჭილაძე (ბორჯომი)

56-60. 1.ნიკოლოზ ბიძორა (ფოთი) 2.ირაკლი ონაშვილი (რუსთავი) 3.მურან თურქაძე (ქუთაისი) 3.ალექსანდრე ბოლქვაძე (ბორჯომი)

60-63. 1.ირაკლი მელაძიშვილი (ბორჯომი) 2.დავით ლეკაშვილი (რუსთავი) 3.მიხეილ ჭინჭარაძეი (ქარაგაული) 3.ტარიელ აბესარიი (მარნეული)

64-70. 1.მიქეთ გოგოთურაშვილი (ბორჯომი) 2.გიორგი ქვარნაძე (ფოთი) 3.ბექა ხარძიანი (ქარაგაული) 3.ზვიად გოგუა (ზუგდიდი)

69 კგ. 1.ზაალი ვეფხვაძაძე (ბორჯომი) 2.ამბროსი ხუთიძე (ქუთაისი) 3.ირლანგ ბეგბარაშვილი (არმია) 3.გიორგი ჯვარისთვე (ქიათურა)

75 კგ. 1.ფაბა ხოხიაშვილი (ახალციხე) 2.ნიკა სუხნიაშვილი (ვორკი) 3.ლაშა ზუგაძე (არმია) 3.ირმან თავაძე (ქუთაისი)

81-86.1. იაგო გოზორაძი (ფოთი) 2.ლევან ბუღუბაი (ბორჯომი) 3.ალექსი სარიშვილი (არმია) 3.ლევან კლდიაშვილი (ბორჯომი)

91-95. 1.ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი) 2.დავით გოგიშვილი (ვარანი) 3.გენეტი კაზარიანი (ახალქალაქი) 3.ლუკაზ ნარმანიძე (ბორჯომი)

+91 კგ. 1.მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი) 2.ალექსანდრე კარტოზია (ბორჯომი) 3.ირაკლი აბაშიძე (ახალრა) 3. მურნან მეფარიძე (ბორჯომი)

დავით ჯოხარიძე
ქრონიკიდან

● საქართველოს ჩემპიონატი. V ტური

პირველი მეოთხედი და...

26 ნოემბერი. ბათუმი

ბათუმი-სტე 91:86

28:9, 19:24, 22:22, 22:31

ბათუმი: ვ. მოისურიძე (13ქ, 6მ, 3ს), თენგიზელი (22ქ, 6მ, 4ბ), მოქელაძე (4ქ, 6ბ), ნინუა (7ქ, 3ს), ჩხაძარაშვილი (1ქ2), ცეწილავა (14ქ, 13მ, 3ს, 4ბ, 2ბ), ელაპაშვილი (14ქ, 15მ), ელიაძე (1ქ), რამიშვილი.

სტე: ანთაძე (13ქ, 12მ, 3ს, 4ბ), ჭოხონელიძე (5ქ, 9მ, 2ბ), ვ. ბერეაშვილი (18ქ, 8მ, 5ბ), ჩიკვილაძე (27ქ, 5მ), ლომპოლიი (19ქ), გასიაგაშვილი, მაჩალაძე, თევზაძე (2ქ, 3მ), კობაძე, დიმიტრაძე, ჩალიგავა (2ქ, 3ს).

სტე-ს ამჯერადაც **ჩიკვილაძე** გაუძღვა, რომელმაც ყველაზე მეტ, 27 ქულას მოუყარა თავი. «დაბლ-დაბლი" გაიფორმა **ანთაძემ** - 13 ქულა, 12 მოხსნა.

ბათუმს ამ ტურნირზე ვერც ერთმა ვერ გაუწია კონკურენცია. ბათუმელებს ერთადერთ მატჩში ჰქონდათ ხარისხიანი თამაში, ოთხ მატჩში კი ნამდვილი ტრაგედია ნახეს ბათუმის გულშემატკივრებმა. ბათუმელებს ნაკლებად ეტყობა ფიზიკური ფორმის ნაკლებობა, ისინი ხშირად ვერ ახერხებენ ბურთის ნორმალურ გატარებას, ხშირად ბურთს ადვილად კარგავენ,

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

გზის თანდატბეიოს შამათმა

მეც ძალიან მომბეზრდა უამრავი რეკლამა თუ განცხადება, რომელიც ჩვენს ტელევიზიებში ტრიალებს და პრესაში იბეჭდება. ამიტომ, რომ არ ინვალოთ, და თქვენთვის საინტერესო განცხადებები მთელ პრესაში არ ეძებოთ, აქვე ერთიანად შემოგთავაზებთ. თემატიკა, რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთიდან გამომდინარე შეკარჩიე, თორემ აბა რაში უნდა გაინტერესებდეთ, სად გაიხსნა თანამედროვე ლათინური ცეკვების შემსწავლელი სტუდია მოყვარულთათვის. მაშ ასე:

☺☺☺

იყიდება საფებზურთო კლუბი თბილისის "დინამო". 1925 წლის გამოშვება, შშვენიერი ხედით ნარსულში. აწყამად ჩემპიონატისა და თასის მოგების პერსპექტივით. ნორმალურ, მაგრამ სარემონტო მდგომარეობაში. აქვს საკუთარი დიდი ეზო მინდვრებით და არტეზიული ჭით. ფასი სიმბოლური და შეთანხმებით. მაკლერები და ის ზზრბაიჟანელები, რომელთაც "დინამო" "ნეფთჩის" დონის გუნდი ჰგონიათ, ნუ გამოგვეხმაურებიან.

☺☺☺

გავიცნობთ ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანს ან კომპანიას ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობებისთვის. აუცილებელია, იყოს შეძლებული, ფუქსიითა და ფეხბურთის სიყვარულით უზრუნველყოფილი. სასურველია იყოს დასაელეთ საქართველოდან. გინდა მელოტები და მსუქნები გამოგვეხმაურთ და გინდა ხუჭუჭები და გამხდრები. მაგას დავეძებთ? გამოგვეხმაურთ სახელზე "გაჭირვებული ქართული გუნდები".

☺☺☺

შვეიცერი ძველებურ, ხელით ნაქსოვ მინდერის საფარს სტადიონებისთვის.

☺☺☺

გადავიღებ და დავგმონტაჟებთ დაბადების დღეებს, ქორწილებს, ფეხბურთის მატჩებს თქვენთვის სასურველი რაკურსით საფეხბურთო სადისკილინო კომიტეტში წარსადგენად.

☺☺☺

ქირავდება სასტუმროს ტიპის დასასვენებელი ოთახები და გამოვაწვისაელებელი ცენტრი მშეხებარე ბაზა "ბასაში". მშენებლობა დასრულდება მარშანნინ.

☺☺☺

ფრანგები ამჯერად ზამთრის დადგომამდე შეიჭრნენ რუსეთში და გენერალ ეალბუუნას მეთაურობით გაიცამტვერეს მეტოქე.

☺☺☺

ვხსნი ვადოს, ვწმენდავ ურას, გავათავისუფლებ კომშორებისგან. "ბურსას" ფეხბურთელები ნუ გამომეხმაურებით.

☺☺☺

მადრიდის სამეფო უბნის თეატრი წარმოგიდგენთ რეჟისორ ჯონ მოურინოს სპექტაკლს "ჯერ გამოგვეკვლიე, მერე ითამაშეს". მთავარ როლებში- ხაბი ალონსო და სერხიო რამოსი.

მხოლოდ ერთი დღით, კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში, "კამპ ნოუზე"- "ვარსკვლავების ომები". მთავარ როლებში- ნინა ტურის ჰეთ-თრიკოსები: ლიონელ მესი და კრისტიანო რონალდო. არ იჩქაროთ, ბილეთებს მაინც ვერ იყიდით და ტელევიზორში კი იქნება.

☺☺☺

სამეულ ეტოოს საყურადღებოდ: თუ თქვენ პერიოდულად განუხებთ სლოვენური დაავადება "პოშტიან ცუზარი" და ინვევს თქვენში აგრესიას, მიმართეთ ქართულ სამკურნალო დენსებულებას და მოაგვარეთ თქვენი პრობლემები ყოველგვარი ძალადობისა და შემდგომ დისკვალიფიკაციის გარეშე. მოგემსახურებათ ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი სპეციალისტი ჯანო ანანიძე.

☺☺☺

გთავაზობთ ტატუს აპარატს და ეპილატორების ფართო არჩევანს დეკიდ ბექჰემის ატმოგარდით.

☺☺☺

იყიდება დამცავი ჩაფხუტები მოტოსპორტის მოყვარულებისთვის. გამოდგება მსაჯებისთვისაც.

☺☺☺

ინტერნეტ ფსონები ბინიდან გაუსვლელად! ითამაშეთ ჩვენთან და ცოტა ხანში ბინიდან გასვლის ყოველგვარი სურვილი დაგეკარგებათ!

და გოლის:

არაა აუცილებელი, მაინცდამაინც რუსეთს ვეთამაშებოდეთ, რომ ჩვენს ბიჭებს გვერდში დავუდგეთ. ეს ისე, რა ვიცი... და თუ რამეა, როგორც ნინა შაბათს აღენიშნე, რამდენიმე კათხა ლუდიც მშვენივრად ჩაეჭრობს რაგბის თამაშის მერე გაჩენილ ხანძარს თქვენს ცელში.

1936 წელი. ბერლინი (გერმანია). XI ოლიმპიური თამაშების აფიშა და მონეტა

საინტერესო ამბები

ზემო ევკიბეთში ჩვენს ერამდე 3200 წლის წინათ ნაგადაში (ეგვიპტოს ბასრობლასა), ნაპოვნია თიხის ცილინდრული ფორმის ტვიფარი მოცურავეთა გამოსახულებით. როგორც ირკვევა, სამეფო ოჯახში მიეტბული იყო ცურვის გაკეთილები. ამ ხანას მიეკუთვნება იალქნიანი ნავების დღემდე შემორჩენილი უძველესი გამოსახულებებიც.

■■■

ბრაგანეთის იმპერიის მონარქი 1914 წლის 23 აპრილს პორელად დაესწრო ფეხბურთში ინგლისის თასის ფინალურ მატჩს. "ჩრისტალ პალასის" სტადიონზე **მეფე გიორგ მეხუთეს** თვალწინ "ბარნლიმ" 1:0 მოუგო "ლივერპულს".

■■■

მკვლევარების დასკვნით, ოლიმპიური თამაშების ისტორია, დასაბამიდან დღემდე 1169 წელს მოითვლის. გადიოდა დრო, იცვლებოდა თამაშების პროგრამა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ძირითადი — ოლიმპიადებში მორის ხანგრძლივობა 4 წელიწადი, ანუ 1417 დღე, რაც შეადგენდა ერთ ოლიმპიადას. ძველ ბერძნებს ოლიმპიადის მიხედვით შემოუთვლიათ ქრონოლოგიის ათვისი კალენდარი.

თარაზულად: XX საუკუნის საუკეთესო ქართველი კალათბურთელი; 4. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. თანამედროვე სერბი ჩოგბურთელი ქალი; 11. გუნდური სპორტის სახეობა; 12. ქართველი მსახიობისა და კომენტატორის სახელი; 14. ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი ... გასკოინი; 15. საჭადრაკო ტერმინი; 16. ესპანეთის ნაკრებისა და "ბარსელონას" ნახევრმცველი; 18. ცურვის სტილი; 20. ფორმულა 1-ის გუნდი; 22. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი; 24. ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი ... გულიტი; 25. 1970-ანი წლების ლეგენდარული ირლანდიელი ფეხბურთელი; 27. ლეგენდარული რუსი მოჭიდავე; 28. ამსტერდამის სავეხბურთო კლუბი; 30. ესპანელი ატმომრბოლე; 31. ცხენის სხვადასხვაგვარი სკლა.

ვერტიკალად: 1. მნერთნელ შოთა არველაძის კლუბი; 2. "დეპორტივო ლა კორუნიას" სტადიონის სახელწოდება; 3. წინიდა მოგება ძიუდოში; 5. პოლანდიის სავეხბურთო კლუბი; 6. მშვილდოსანოსროლი; 7. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ფეხბურთში; 8. მოქიდავე, რომლის საერთაშორისო ტურნირი ტარდება ჯრასნოიარსკში. 9. ერთგვარი პრიზი; 13. ცურვის კალათბურთი; 17. მოკრივე პოლიფილდის სახელი; 19. ქიდაობის ილეთი; 21. მძლეოსნობის მიმდევარი; 24. ჯრვის ხელთათმანების მასის საზომი ერთეული; 26. ჯრვისა და ბობსლეიში ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი სპორტსმენი; 27. ცურვის თავისუფალი სტილი; 28. სენეგალური წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელი; 29. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

პასუხები შემდეგ ნომერში

კროსვორდი



შეადგინა ლალი ჟიჟინაძემ

თარიღი. 27 ნოემბერი-3 დეკემბერი

27.XI.1964 წ. დაიბადა **რობერტო მანჩინი** (იტალია)-ფეხბურთელი.

28.XI.1955 წ. დაიბადა **ალესანდრო ალტობელი** (იტალია)-ფეხბურთელი.

29.XI.1872 წ. პირველ საერთაშორისო მატჩში ინგლისის საფეხბურთო ნაკრებმა გლაზგოში მოტლანდისთან ფრედ 1:1 ითამაშა. სხვა ცნობით ეს მატჩი გაიმართა 30 ნოემბერს და 0:0 დასრულდა.

30.XI.1960 წ. დაიბადა **გარი ლინეკერი** (ინგლისი)-ფეხბურთელი.

2.XII. 1948 წ. დაიბადა **ანტონინ პანენკა** (ჩეხეთი)-ფეხბურთელი.

3.XII.1923 წ. დაიბადა **სტეფან ბობეკი** (უგოსლავეთი)-ფეხბურთელი.

სპორტული ინვენტარის ისტორია

საიდან მოდის ველოსიპედი?

ველოსიპედის ისტორიული სანყისები საკმაოთია, მაგრამ დანამდვილებითაა ცნობილი, რომ 1816 წლის გვიანეთ და შემდეგ გერმანელი კარლ ფონ დრეზი ცხენის შემცველ მექანიზმზე დააფიქრა და 1817 წელს შექმნა მრბოლი მანქანა, რომელსაც პრუსთ ჯერ დრეზინა, შემდეგ კველოსიპედი უწოდა. მან თავისი მექანიზმით ერთ საათში ნაკლებ დროში გაირბინა 13 კილომეტრი. 1860 წელს საფრანგეთში ველოსიპედის წინა ბორბალს პედლები გაუკეთეს. 1879 წელს ინგლისში შექმნეს ველოსიპედი ჯვაჭვური გადაცემით, 1888 წელს კი გამოიგონეს პნევმატური საბურავი. კონსტრუქციულად თანამედროვე სახე ველოსიპედმა მე-19 საუკუნის ბოლოს მიიღო.



პირველი ველოსიპედი დრეზინა

ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

1. რომელ წელს დაიპყრო დედამიწის პირველი უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (ჯომოლუნგმა) ადამიანმა?

ა – 1951 წელს
ბ – 1953 წელს
გ – 1956 წელს

2. რომელ წელს ჩატარდა „ფორმულა 1"-ის პირველი ჩემპიონატის (ინგლისი) პირველი ეტაპი?

ა – 1948 წელს
ბ – 1949 წელს
გ – 1950 წელს

3. სად გაიმართა 1942 წელს „სიკვდილის მატჩი", რომლის ნაგების შემდეგ გერმანელებმა გამარჯვებული გუნდის ოთხი ფეხბურთელი დახვრიტეს.

ა – ბრესტში
ბ – კიევში
გ – პრაღაში

4. რომელ წელს აღიარა ფრენბურთი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიურ სახეობად?

ა – 1957 წელს
ბ – 1960 წელს
გ – 1962 წელს

5. რომელი წლიდან აღარ ტარდება ერთსა და იმავე წელს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები?

ა – 1988 წლიდან
ბ – 1992 წლიდან
გ – 1994 წლიდან

პასუხები იხილეთ მომდევნო ნომერში

დვთისავარ ანთაძის კუთხე

სადავო გურთი

სადავო ბურთით თამაში განახლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენყვეტილი იყო თამაშის წესებით გაუთვალისწინებელი მიზეზით, რის გამოც შეუძლებელია დაინიშნოს შესაბამისი დარტყმა რომელიმე გუნდის სასარგებლოდ. მაგალითად: 1) თუკი თამაში შეჩერდა ისე, რომ მოთამაშეები დამნაშავეები არ არიან (ბურთისა და კარის დაზიანება, ამინდის გაუარესება, უცხო სახნის გადმოგდება მოედანზე, უნებლიე ტრამვა და ა.შ.), 2) თუკი თამაში შეჩერდა ისე, რომ ფეხბურთელები დამნაშავენი არ არიან, დარღვევა მოხდა მოედნის ფარგლების გარეთ.

სადავო ბურთი გათამაშდება იმ ადგილიდან, სადაც შეხვედრის შეჩერების დროს იმყოფებოდა. სადავო ბურთი მსაჯმა ხელით თავისუფლად უნდა დაუშვას 1-1,5 მ სიმაღლიდან მინაზე. ბურთზე შეხების უფლება ფეხბურთელებს აქვთ მხოლოდ მაშინ, რაც იგი მინაზე დავარდება. თუკი ფეხბურთელი მანამდე შეეხება ბურთს, მსაჯს უფლება აქვს, თავიდან გათამაშოს სადავო ბურთი.

თავსატეხი „ანთა". მეათე ამოცანა

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობა: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეყნდუფას ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ვფიცო გარაგა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკეტების ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და ნაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

პირობითად: თ-თამაშობა; მ-მოგება, ფ- ფრე; წ-ნაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									2-0	7	I
B									6-5	5	II
C									5-6	3	III
D									1-3	1	IV

წინა შაბათს გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		2:0	2:1	2:0	3	3	0	0	6-1	9	I
B	0:2		1:0	1:0	3	2	0	1	2-2	6	II
C	1:2	0:1		4:0	3	1	0	2	5-3	3	III
D	0:2	0:1	0:4		3	0	0	3	0-7	0	IV

გვერდი მომზადებულია თენგიზ თოფაძეილის პროექტით

საქართველო-აშშ

მთავარია, მოვიგოთ, ანგარიშს მნიშვნელობა არ აქვს

საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ნოემბრის ტესტების ბოლო მატჩს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნები" არსებობის ისტორიაში ოკეანისგაღმელებს მეორედ დაუპირისპირდებიან. შეგახსენებთ, რომ მარშან, „ჩერჩილის" თასის გათამაშებაში, ჩვენი გუნდი 13:31 დამარცხდა და ახლა რევანშია ასაღები.

ამერიკელებმა აქამდე ევროპაში სამი შეხვედრა გამართეს. „არწივებმა" ინგლისურ „სარასენზთან" და შოტლანდიის A ნაკრებთან ნაგეს. პორტუგალიის ეროვნულ გუნდს კი 22:18 მოუგეს.

სტუმართა გუნდისგან განსხვავებით საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთი თამაში ჩაატარა. ჩვენმა მორაგბეებმა, იმავე „ჩერჩილის თასზე" ნაგებისთვის, კანადასთან მაგრამ აღება რევანში - 22:15.

მართალია, აშშ-ის ნაკრები რეიტინგში კანადაზე უკანაა და მისთვის აგერ რა ყურადღებით უნდა ვითამაშოთ, რათა აშ უპირატესობის აშოქმედების საშუალება არ მიეცეთ.

ამერიკის ნაკრები ნოემბრის ტესტებს უმუალოდ მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად იყენებს. აქედან გამომდინარე, მოთამაშეთა მოტივაცია იზრდება. ყველა მოინდომებს, დაამტკიცოს, რომ ნაკრები თამაშის ღირსია. ჩვენ ვეცდებით, ამ მიზნის მიღწევაში ხელი შევუშალოთ. თუ რას დავუპირისპირებთ აშშ-ის ნაკრებს, ეს მოედანზე, თამაშისას გამოჩნდება. ჩვენმა გუნდმა ბევრი იმუშაა, გასული კვირაში დაწყებული სიახლეების დანერგვა ამჟერადაც განვაგრძეთ და ბევრი რამ გავაუმჯობესეთ.

მორეულ ხაზში ექსლილებები იმიტომ არ გავგიბორკეიულება, რომ უკმაყოფილონი ვართ. პირიქით, საქართველოს ნაკრებში შერჩინების პირველი ხაზი ყველაზე ძლიერი რგოლია. ამ პოზიციაზე ძალიან ბევრი მაღალი დონის მოთამაშე გვყავს, ეს კი საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერ მატჩში მათგან, რაც შეიძლება მეტი გამოვცადოთ.

ბუნებრივია, ყველა მწვრთნელი დიდ ყურადღებას უთმობს ძირითად შემადგენლობას, მაგრამ არანაკლები ყურადღება ესახორციელა სათადარიგოებაც. თამაშეთრივე რაგბი ისეთია, რომ ყველა, ოცდაორივე მორაგბე თანაბრად ძლიერად უნდა თამაშობდეს. ამის აუცილებლობა კიდევ უფრო გამოჩნდება, როცა საქართველოს ნაკრები მეტად სწრაფი ინტენსიობით რაგბის თამაშს დაიწყებს.

მსოფლიო თასზე ისეთ გუნდებთან მოგვიწევს თამაში, რომლებიც თამაშის სწრაფ ტემპს არიან შეჩვეულნი. ამისთვის მზადება მოსპალამდე გაგრძელდება. ამ ეტაპზე კი ვფიქრობ, იმაზეს აშშ-ის ძლიერ ნაკრებთან თამაშშიც შევძლებთ.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კანადელებთან მილებული გაკვეთილები. ცხადია, ამერიკის ნაკრები უნდა დავამარცხოთ, თუმცა ანგარიშს აშ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს.

ლექსო გუგავა, საქართველოს ნაკრების გარემარბი: „ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები თბილისში იმავე შემადგენლობით ჩამოვიდა, რომელთაც შარშან „ჩერჩილის თასზე" გვითამაშა. ჩვენ მაშინ შესუსტებული შემადგენლობით ვიყავით ნასული საასპარეზოდ. ამჯერად მწვრთნელების განკარგულებაში ყველა საუკეთესო მორაგბეა, თანაც შინ ვითამაშობთ.

ამერიკელების მანერა კარგად შეესწავლეთ, მათზე თითქმის ყველაფერი ვიცით, მარშან კი საერთოდ წარმოდგენა არ გვქონდა, რა გუნდს ვეთამაშებოდით. ასე რომ, ამჯერად, ვფიქრობ, გამარჯვების მეტი შანსი გვაქვს".

ამერიკელების სასტუმრო „რედისონში" ცხოვრობენ და ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაც იქ გადაწყეტილა.

ედი ოსაალივანი: „თბილისში სავარჯიშოდ შესანიშნავი პირობები გვაქვს. მასპინძლობა კარგი საროგბო ინფრასტრუქტურა და მაღალი დონის სასტუმრო დაგვახვედრეს. ერთადერთი პრობლემა ზოგიერთი მოთამაშის მიერ ოფიციალურ მატჩებზე ალკოჰოლის მოხმარებაში იყო, რომლებიც, საბედნიეროდ, მოიაზრეს და ახლა სრულიად ჯანმრთელნი არიან.

საქართველოს ნაკრებს კარგად ვიცნობ. თქვენი გუნდის გამოსვლებს ჯერ კიდევ 2007 წლის მსოფლიო თასიდან ვადევნებ თვალს. შარშან ამერიკაში ითამაშეს „ჩერჩილის თასზე". ჩვენ, კანადა და საქართველო ერთი დონის გუნდები ვართ.

საქართველოს ნაკრების ძლიერი მხარე ღონეებია, საკმაოდ მობილური შერკინებაა, მსოფლიოში ის ერთ-ერთი საუკეთესოა. საკმაოდ აქტიურად თამაშობენ უკანასკნელებაც, გუნდს შეუძლია, ბურთი დიდხანს შეინარჩუნოს, ეს კი, ვფიქრობ, თამაშში ბევრ პრობლემას შეგვიქმნის.

ცხადია, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრას დიდ მნიშვნელობას განიჭებთ. ჯერ ერთი, გამარჯვების შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა მსოფლიო რეიტინგში დავწინაურდეთ და მეორე, რაც მთავარია, ვინაიდან ჩვენი ნაკრები მომავალ იტინამდე აღარ შეიკრიბება, ეს თამაში მსოფლიო თასის მზადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად განიხილება.

ტოდ კლეევერი: „ქართველ მორაგბეებს ძალიან კარგად ვიცნობ. ხშირად მითამაშია მათ წინააღმდეგ. საკმაოდ ღონიერი, მაღალი დონის პროფესიონალები არიან და, ვფიქრობ, უმძიმესი ბრძოლა გველის. "

საქართველო-აშშ

საბრძოლველი: **15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. ირაკლი მაჩხალენი, 13. ირაკლი ჩხიკვაძე, 12. თენგო ზიბზიბაძე, 11. ლუქსო გუგავა, 10. ლაშა მალალურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. გოდერძი ბეჟანიშვილი, 2. ავქსენტი გიორგაძე, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ზაალა სუთიაშვილი, 5. ლუკა დათუაშვილი, 6. სიმონ მისურაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ბესო უდესიანი.**

16. ირაკლი ნაცარიაშვილი, 17. დავით ზარქუაშვილი, 18. ვიქტორ კოლელიშვილი, 19. გიორგი ნემსაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. გაგით კაჭარავა, 22. ზურაბ ცირეკიძეები

აშშ: **15. ერის ვაილესი, 14. ტაკუძავა ნგვენგა, 13. პაულ ემერიკი, 12. ენფორო სულნეუს, 11. კევინ სეირინი, 10. ვალენსიო მალიფა, 9. ფრან უსასრი. 1. მატე მოეაკოლა, 2. ფილიპ თიელი, 3. შონ პოტჩანი, 4. სამუ ბანოა, 5. ჰეიდენ სმითი, 6. ლუ სტანფორი, 7. ტოდ კლეევერი, 8. ინაკი ბასაორი.**

16. ერიკ ბლეირი, 17. მაიკ მაკდონალდი, 18. სკოტ ლუდალა, 19 ნიკ ეონსონი, 20. მიკე პატრი, 21. ბაკულეკონზა, 22. სტანლეი ტატლეუფუა.

ნოემბრის ტესტები

პორტუგალია-კანადა, ინგლისი-სამხრეთ აფრიკა, უელსი-ახალი ზელანდია, იტალია-ფიჯი, საფრანგეთი-ავსტრალია, შოტლანდია-სამოა, ირლანდია-არგენტინა, ესპანეთი-ნამიბია

რეზერვში

რუმინეთი-ურუგვაი

ტესტები

მარადიული კითხვა, პუმები თუ სამყურები?

2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე არგენტინის ეროვნული გუნდი ნოემბრის ტესტების ბოლო შეხვედრას დუბლინში, ირლანდიასთან გაბრძოლებს. „პუმების" და „სამყურების" ურთიერთშეხვედრების საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვთ. მსოფლიო თასის გათამაშებაში ისინი სამჯერ მოხვდნენ ერთ ჯგუფში. არგენტინელებმა მწვანეების" ჯგუფში ჩატოვება ერთხელ, 2007 წლის მსოფლიო თასზე შეძლეს.

ბოლოს ეს გუნდები ორი წლის წინ სწორედ დუბლინში შეხვდნენერთმანეთს და მასპინძლებმა რევანშის აღება შეძლეს - 17:3. მას შემდეგ ირლანდიამ ნელ-ნელა თამაშს უკლო. გუნდი ხშირმა ტრავმიათაობამ დატანჯა. ნოემბრის ტესტებზე სამყურებმა სამიდან ორი თამაში ნაგეს — სამრეი ფერკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებებთან, სამოას კი გაჭირვებით, 10 ქულის სხვაობით მოუგეს.

მათგან განსხვავებით, „პუმებმა" მხოლოდ ორი შეხვედრა გამართეს, თუმცა ორივეში უმძიმესი ბრძოლა გადახდათ, ჯერ ვერონაში იტალიის ეროვნულ გუნდთან, ხოლო შემდეგ მონპელიეში „ლე ბლეუთან". არგენტინელებმა „ბუენოსაერთა აძერას" დამარცხება შეძლეს, ფრანგებთან კი წააგეს, თუმცა ისე, რომ მასპინძლებს ლელოს გატანის საშუალება არ მისცეს.

არგენტინის ნაკრები მუდამ ერთერთ ყველაზე მებრძოლ, საკმაოდ ხისტ გუნდად მიიჩნეოდა და გამორიცხული არ არის, „სამყურებმა" სამხრეთელთაგან მესამე მარცხი იგემონ.

პრებლრები: 15. მარტინ როდრიგესი, 14. პორაციო აგუსა, 13. გონსალო ტეილი, 12. მარსელო ბოსხი, 11. ლუკას ამოროსინო, 10. ფელიპე კონტრეპომი, 9. ნიკოლას ვერეალო. 1. როდრიგო როსსერო, 2. მარიო ლედესმა, 3. მარტინ სკელეო, 4. მარიანო გალარსა, 5. პაბლო მატია ალბასეტე, 6. ჯუნიორო ფეხია, 7. ხულიო ფარიას კამპეო, 8. ხუან ფერნანდეს ლობე.

16. ალეჯანდრო კრეუეი, 17. მარკოს აიერსა, 18. ხუან ფიგალო, 19. სანტიაგო გუზმანი, 20. ალაპარო გალინდო, 21. ალფრედო ლალანე, 22. ლუკას პორზეკი.

ირლანდია: **15. გორდონ დ'არკი, 14. ტომ ბოუე, 13. ბრიანან ოდრისკოლი, 12. გარედონ დარსი, 11. ენდრიუ ტრიმბლი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. პიტერ სტრანგეური. 1. ჯონ ჰილი, 2. შეინ ირონნი, 3. ტონი ბაკლი, 4. დონნა ოკალაჰანი, 5. მაიკ ოდრისკოლი, 6. სტივენ ფერიანი, 7. დევიდ ვოკინსი, 8. ჯეიმი ჰისლეპი.**

16. დამიენ ვაოლეი, 17. ტომ კურტი, 18. დუეინ ჰილი, 19. დენის ლეაჰი, 20. ჯონი რედანი, 21. რონან ოგარა, 22. ჯისი ტარლეზი.

ვოლაბებმა გიგოს ბარნი ამოჯოხინეს

ნოემბრის ტესტებზე სხვაზე არანაკლები ინტრიგა ახლავს ავსტრალიის ნაკრების მატჩს პარიზში, „სენ დენიზზე" საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან. „ვოლაბებს" მასპინძელთა გუნდთან ხუთი ნელინგია, არ წაუგია და ახლაც ყველა ღონეს იხმარს ამ ტენდენციის შესანარჩუნებლად.

რობი დინსის ბიჭებმა ნოემბრის ტესტებზე იხგლისის ნაკრებთან სარკირო სხვაობით განიცადეს მარცხი. იმ შეხვედრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა „ჯობების" მძლავრმა, შესანიშნავად მოთამაშე შერკინებამ იქონია. „ლე ბლე" სტუმართა დამარცხებას სწორედ მორკინალებით აპირებს და „ვოლაბების" განმლიებას ეშურება.

ავსტრალიელთა თაქკაცმა, ცხადია, ამის შესახებ კარგად უწყის და თავის მხრივ, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზის იმედი აქვს. დინსმა აქ ერთი ცვლილება განახორციელა. მან შეუმატები **მეთ გიტო**, რომელიც ტურნეში, მეტი რომ არ ვთქვათ, ცუდად გამოიყურება, სათადარიგოთა შორის გაამწესა. მის ადგილს კი **ბერიკ ბარნსი** დაიკავებს.

უცნაურია, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების თაქკაცმა **მარკ ლივერმონმა** 22-კაციან განაცხადში არ შეიყვანა მსოფლიოს საუკეთესო მორაგბის ნომინაციაში დასახელებული შერკინების მესამეხაზელი **იმპლონ არინორდეკი**. მის ნაცვლად ექსპრაქტიკა **სებასტიან შაბალი** ითამაშებს.

აპსტრალს: **15. ქარლეი ბეილი, 14. ჯეიმს ოკონორი, 13. ადამ ეტლი-კუპერი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დრიუ მიტჩელი, 10. ქეით დე კუპერი, 9. ჯილი გეზნა. 1. ჯეიმს სლიპერი, 2. სტივენ მოური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. რორ საიმონსი, 5. ნათან შარპი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოკი, 8. ბენ მაკკალეინი.**

16. ტატაფილ პოლოტა-ნიო, 17. ბენ რობინსონი, 18. მარკ ჩისმანონი, 19 სკოტ ჰიგინბოთამი, 20. ლუკ მარეტეი, 21. მეთ გიტო, 22. ლაკი ტერნერი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

sport.gov.ge

● კალათბურთი

ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

ცსკა ახალ მწვრთნელს ეძებს

ევროლიგის მეექვსე ტურის შემდეგ მოსკოვის ცსკა-ს ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **დუშკო ვუიოშევიჩი**. ამის შესახებ არმიელთა კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერს.

მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს ვუიოშევიჩის ასისტენტი **დმიტრი შაკულინი** შეასრულებს, ამასთან, სერბი სპეციალისტის მეორე თანაშემწე **საშა ფილიპოვსკი** ასევე გათვისუფლებულია გუნდიდან.

ოფიციალურ წერილში წერია, რომ გუნდმა ვუიოშევიჩის ხელმძღვანელობით „კატასტროფული" სტარტი აიღო ევროლიგაზე, რუსეთის ჩემპიონატში კი ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან, ყაზანის უნიკსთან ნააგო, თანაც საკუთარ მოედანზე.

უკვე დაინყეს ვუიოშევიჩის შემცვლელზე ლაპარაკი. ცსკა-ს მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად სამი ცნობილი სპეციალისტი სახელდება - სერბი **ბოჟიდარ მალკოვიჩი**, ლიტველი **იონას კაზლაუსკასი** და ბერძენი **პანაიოტის ინანკასი**. დღეისთვის სამივე მწვრთნელი უმუშევარია.

კლუბის პრეზიდენტ **ანდრეი ვატუტინს** არ დაუზუსტებია, რამდენი ხანი იქნება მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელი შაკულინი. მისი თქმით, ამ მომენტისთვის ხელმძღვანელობა არც ერთ მწვრთნელთან არ ანარმოებს მოლაპარაკებას.

ევროლიგაზე ცსკა მომდევნო შეხვედრას „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ ჩაატარებს და ამ მატჩში თავისი წამყვანი მოთამაშე **ვიქტორ ხრიაპა** დაკალდება. ფორვარდმა მარცხენა ფეხის ძველი ტრავმა გაიმეორა, რომლის გამოც სეტტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოტოვა.

ტურის მოთამაშე

ტრადიციულად დასახელდა ტურის საუკეთესო მოთამაშე. ამჯერად ევროლიგის ხელმძღვანელობამ სიაწინ „ჭონტე პასკის" ცენტრი **ალიშერ ჯალარნიერიძე** გამოარჩია. ლიტველმა „მოლესთან" მატჩში 26 წუთი დაყო მოედანზე და ეს საკმარისი აღმოჩნდა 23 ქულისა და 8 მოხსნის დასაგროვებლად. ლაჟარნიერის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 36 ქულა შეადგინა.

ბალტიისპირელს სულ მცირედით ჩამორჩა „კახა ლაბორატის" ცენტრი **სტანყო ბარაკი**. „მკაბაბისთან" მატჩში (70:81) ხორვატმა 31 წუთში 18 ქულა და 13 მოხსნა მოითვალა.

მეექვსე ტურის საუკეთესო ხუთეულში შემდეგი კალათბურთელები მოხვდნენ: **ბოიან ბოგდანოვიჩი** („ციბონა", 26 ქულა+6 მოხსნა), **როკო უკიჩი** („ფენერბაჰჩე", 24 ქულა) და **დემონ მალეტი** („შარლერუა", 21 ქულა).

A ჯგუფი

მასპინძელი–სტუმარი	ანგარიში
მაკაბი–ჟ. ლაბორატორი	**81:70**
21:15, 17:17, 17:19, 26:19	
მ: ელიაზუ (18+6 მოხსნა), პარკი (14+5 მოხსნა+5 პასი), ეიდსონი (12+7 პასი).	
ჟ-ლ: სან ემეტერო (21+6 მოხსნა), ბარაკი (18+13 მოხსნა+4 დაფარება), ტელატოვიჩი (15+6 მოხსნა).	
პარტიზანი–ქალგირონა	**68:62**
23:14, 21:15, 10:14, 14:19	
პ: მილოსავლევიჩი (19), ლაფავიტე (12).	
ქ: ბეგიჩი (19+5 მოხსნა), კოლონ (12).	
პროკომი–ხიმკი	**71:67**
12:12, 20:24, 16:12, 23:19	
პ: ვარდა (14), ოუენი (13+5 მოხსნა), ჯიდენი (12+5 პასი).	
ხ: ლუნგუორი (17), მონია (14+5 მოხსნა).	

● კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ატლანტა–ვაშინგტონი	ანგარიში
28:18, 25:18, 36:27, 27:33	**116:96**
ა: ჯონსონი (21+5 მოხსნა+5 პასი), სმიტი (20+14 მოხსნა+5 პასი), ჰორფორდი (15+13 მოხსნა), ჯოუფორდი (15).	
ვ: არენასი (21+8 პასი+6 მოხსნა), იანგი (20), ბელეტი (12), უოლი (10+7 პასი).	

ლიტვა–ესპანეთი	ანგარიში
30:25, 24:25, 30:19, 16:13	**100:82**
ლ: გირდაუსი (28+6 პასი), გრიფინი (25+15 მოხსნა+5 პასი), ამინე (12), სმიტი (11).	
ს: ლუნგო (18+6 მოხსნა), ჯუდი (15+7 მოხსნა).	

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი. ATP. წლის შემაჯამებელი ტურნირი

რაფა ენდის დაეჯახა



ნადალი ნახევარფინალშია

რეგორც მოსალოდნელი იყო, **B** ჯგუფიდან მეორე საგზური მასპინძელ **ენდი მიურეის** ერგო. თანაც ბრიტანელმა ძალიან ოლად მოიპოვა ნახევარფინალში თამამის უფლება. - მან არანაირი შანსი არ დაუტოვა ესპანელ **დავიდ ფერერს**, ვინც ტურნირი სამი ნაგებით დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ მიურეის ფერერთან უარყოფითი ბალანსი ჰქონდა - ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 1:3 იყო.

თუმცა სამივე გამარჯვება პირნელელმა თავის საყვარელ გრუნტზე მოიპოვა.

დავიდმა ძალიან აქტიურად დაიწყო შეხვედრა. პირველ გეიმებში ესპანელი კარგად გამოიყურებოდა, მისმა მეტოქემ კი სტარტი ჩააგდო და ორი გეიმით ჩამორჩა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ფერერის ერთადერთი გაბრწყინება ყოფილა. ენდი გამოფხიზლდა და პრაქტიკულად ყველა სათამაშო კომპონენტში სჯობდა მტკოცეს. მას მხოლოდ პირველი მონოდება არ მისდიოდა (38 პროცენტი პირველ სეტში), თუმცა ამის მიუხედავად ძალიან სწრაფად მოიგო ზედიზედ ექვსი გეიმი და სეტი, რითაც მატჩის დარჩენილი ნაწილი ფორმალობად აქცია, რადგან მიურეის ერთი პარტიის მოგება სჭირდებოდა ნახევარფინალში გასასვლელად.

მეორე სეტში ბრიტანელი ერთიორჯერ მოდუნდა და ესპანელს დაკარგუნა ბრეიკის დაბრუნების საშუალება მისცა, მაგრამ ამჯერადაც ბრძოლა თითქმის არ ყოფილა და ენდიმ ისევ ორი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის - 6:2, 6:2.

* * *

გუშინ მესამე ნახევარფინალისტი მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** გახდა. ეს იყო ჯგუფურო ეტაპის რიგით მე-11 მატჩი და მეათედ გამარჯვებულის გამოსარკვევად მხოლოდ ორი სეტის ჩატარება გახდა საჭირო.

ნადალს სააათი და 54 წუთი დასჭირდა ჩეხი **ტომას ბერდიხის** დასამარცხებლად. უომბლდონის ფინალისტმა პირველ სეტში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ესპანელს და არც ერთი საკუთარ გეიმი არ დაუთმო მას, მაგრამ ვერც ბრეიკი გააკეთა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, იქ კი ნადალი უფრო აქტიური და ზუსტი იყო - 7:3.

მეორე სეტის ბედი ფაქტობრივად მეოთხე გეიმში გადაწყდა, როცა 2:1-ზე ნადალმა მატჩში პირველი ბრეიკი აიღო და ამის შემდეგ ბერდიხმა პრაქტიკულად შეწყვიტა წინააღმდეგობა. დარჩენილ დროში ჩეხს ერთი გეიმიც არ მოუგია - 1:6.

ნადალი პირველი ადგილიდან ვჯეი ნახევარფინალში და დღეს B ჯგუფის მეორეადგილიანად ენდი მიურეის შეხვდება. მეორე ნახევარფინალში **როჯერ ფედერერის** მეტოქე გუშინ გვიან **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ენდი როდიკის** შეხვედრაში ირკვეოდა.

● კრივი

50 ათასი ერთი წუთისთვის



პაკიაოს ძვირფასი მოქნევა

ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** 13 ნოემბერს მექსიკელ **ანტონიო მარგარიტოსთან** გამართულ ბრძოლაში თითო დარტყმისთვის 52 742 დოლარი გამოიმუშავა. ჩემპიონის პრომოუტერ **ბობ არუმის** თქმით, ამ შეხვედრაში ფილიპინელის მოხორხორარა 20 მილიონ დოლარს გადააჭარბა და შესაძლოა, 25 მილიონსაც მიაღწია.

გაზეთმა The Philippine Star-მა დაითვალა, რომ პაკიაომ ყოველი რაუნდისთვის დაახლოებით 2 მილიონი გამოიმუშავა, ყოველი წუთისთვის - 694 ათასი, თითო წამისთვის - 11 574 დოლარი, ხოლო 474 დარტყმიდან თითოეულისთვის - 52 742.

როგორც გაზეთი წერს, 25 მილიონში გათვალისწინებული არ არის გადასახადები და მოკრივის სხვა ხარჯები. ბრძოლის წინ მენის გარანტირებული ჰქონდა 15 მილიონი დოლარი, მაგრამ შემოსავალი ფასიანი ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან შემოსული მოგების ხარჯზე გაიზარდა. ამ ბრძოლის ტრანსლაცია დაახლოებით 1.15 მილიონმა ადამიანმა შეიძინა.

პაკიაოსა და მარგარიტოს ბრძოლა ფილიპინელის ქულებით გამარჯვებით დასრულდა. მენიმ 70-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

● ავტოსპორტი. დაკარი 2011



430 ეკიპაჟით

ლეგენდარული რალი-რეიდის - „დაკარის" ოფიციალური ვებგვერდი წერს, რომ გაისად რბოლაში მონაწილეობას 430 ეკიპაჟი მიიღებს. ეს შარშანდელ მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია. 2011 წლის ავტომარათონი დაკარში 1-16 იანვარს სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე გაიმართება. წესებში მთავარი ცვლილება მოტოციკლთა ძრავების მოცულობის ლიმიტირება გახლავთ. „დაკარში" მონაწილეობა შეეძლებათ მხოლოდ 450 კუბურ სანტიმეტრზე ნაკლები მოცულობის ძრავებით აღჭურვილ მოტოციკლებს.

ამის გამო გაისად რალიში მოტომძრბოლთა რიცხვი მინიმალურად გაიზარდა. შარშან 151 მონაწილე იყო, ახლა კი პირველობისთვის 183 მოტომრბოლი იბრძოლებს. მთავარი ფავორიტები კვლავაც KTM-ის წარმომადგენლები არიან - ამ მარკის მოტოციკლებით გამოვლენ **სირილ დესპრე** და **მარკ კომბა**. სწორედ ისინი იმარჯვებდნენ „დაკარზე" ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ავტომობილების კლასში ისევ Volkswagen-ის დომინირებას ელიან. ამ გუნდის შემადგენლობა არ შეცვლილა: **კარლოს საინზი, ჟინიელ დე ვილიერი, ნასერ ალ-ატია** და **მარკ მილერი**. Volkswagen-ის მთავარი კონკურენტი იქნება BMW X-Raid, რომლის ღირსებას დაიცავს „დაკარის" ცხრაგზის გამარჯვებული **სტეფან პეტერანსენი**. სულ 2011 წელს სტარტზე 146 ეკიპაჟი გავა, რაც შარშანდელზე 12-ით მეტია.

ამჯერად რალი-რეიდის მარშრუტი არგენტინისა და ჩილეს ჩრდილოეთ ტერიტორიებზე გაიცლის - ბოლივიისა და პერუს საზღვრებთან ახლოს. საერთო დისტანცია 9000 კილომეტრია, რომელთაგანაც 5000 ათასი კილომეტრი ჩქაროსნული მონაკვეთები იქნება. ორგანიზატორთა გათვლით, მონაწილეებს ყველაზე რთული მონაკვეთები მარათონის მეორე ნაწილში ელით, რაც ბოლომდე შეუნარჩუნებს ინტრიგას.

ისევე როგორც 2010 წელს, სტარტი და ფინიში არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში შედგება. 17 დღის განმავლობაში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი დასვენების დღე.

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

სტივენ სტემკოსი

გრეტცკი სტემკოსს აქებს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე **უეინ გრეტცკი** გამოცემა TSN-სთვის მიცემულ ინტერვიუში „ტამპა ბეის“ ფორვარდ **სტივენ სტემკოსის** შედეგიან თამაშს გამოეხმაურა. კერძოდ, გრეტცკი დარწმუნებულია, რომ 2008 წლის დრაფტის პირველი ნომერი შეძლებს 50 მატჩში 50 შაიბის გატანას.

სტემკოსმა რეგულარული ჩემპიონატის სანყის 19 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა, თუმცა ახლა ოდნავ ჩამორჩა გრაფიკს და 22 მატჩში 21 შაიბა აქვს.

„სტივი საოცარი ნიჭის პატრონია, თანაც არ უყვარს მიღწეულით დაკმაყოფილება. სწორედ ამ თვისების წყალობით მიაღწევს ის უნიკალურ შედეგს - 50 მატჩში 50 შაიბას გაიტანს“, - ამბობს გრეტცკი.

NHL-ის ისტორიაში სულ ხუთი მოთამაშეა, ვისაც ეს შედეგი აქვს დაფიქსირებული. ესენი არიან: **მორის რიშარი, მაიკ ბოსი, უეინ გრეტცკი**, მარიო ლემიე და **ბრეტ ჰალი**.

„მონრეალ კანადიენსის“ ლეგენდამ მორის რიშარმა 1944-45 წლებში პირველმა გაიტანა სანყის 50 მატჩში 50 გოლი. მაშინ ჩემპიონატში გუნდები 50 შეხვედრას ატარებდნენ.

36 წლის შემდეგ იგივე გაიმეორა „ნიუ იორკ აილენდერსის“ ფორვარდმა მაიკ ბოსიმ. 1980-81 წლების სეზონში მას 50 მატჩში 50 გოლი ჰქონდა, სეზონში კი 79 მატჩში 68 შაიბა დაუგროვდა.

ამის შემდეგ უეინ გრეტცკის ჯერი დადგა. თანაც „ედმონტონ ოილერზის“ ლიდერმა სამჯერ მაღლია ამ უნიკალურ შედეგს:

1981-82: 50 გოლი 39 მატჩში (სულ სეზონში: 92 შაიბა 80 მატჩში)

1983-84: 50 გოლი 42 მატჩში (სულ სეზონში: 87 შაიბა 74 მატჩში)

1984-85: 50 გოლი 49 მატჩში (სულ სეზონში: 73 შაიბა 80 მატჩში)

ოთხი წლის შემდეგ (1988-89) „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტან მარიო ლემიესაც დასჭირდა 50 მატჩის რაზარაზი 50 გოლის გასატანად. მაშინ „სუპერმარიო“ ამ ზღვარს 46 მატჩში მიაღნია, სულ კი სეზონში 76 მატჩში 85-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

ზედზედ ორჯერ მოხვდა ე. წ. „ორმოცდაათიანთა კლუბში“ „სენტ ლუის ბლუზის“ ფორვარდი ბრეტ ჰალი:

1990-91: 50 გოლი 49 მატჩში (სულ სეზონში: 86 შაიბა 78 მატჩში)

1991-92: 50 გოლი 50 მატჩში (სულ სეზონში: 70 შაიბა 73 მატჩში)

მას შემდეგ 19 წელი გავიდა და დღემდე ეს ზღვარი გადაულახავია. მოქმედ ჰოკეისტებს შორის ყველაზე ახლოს ამ მიზანთან ფილადელფიელი **საიმონ გაგნე** იყო, რომელსაც 2005-06 წლების სეზონში პირველ 21 მატჩში 21 გოლი ჰქონდა, მაგრამ სამი შაიბა არ ეყო „ორმოცდაათიანთა კლუბში“ მოსახვედრად. 2007-08 წლების რეგულარულში „ვაშინგტონის“ რუსმა ვარსკვლავმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** ჯამში 65 შაიბა გაიტანა, მაგრამ პირველ 50 მატჩში „მხოლოდ“ 39 გოლი ჰქონდა.

ედმონტონი-კოლორადო	3:2

2:1, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ბრუნი-3 (გოლპასი-3, პენორი-3), 2:0 ჯოლინი-2 (გოლპასი-4, პოლი-6), 2:1 მატენკორპი-3 (პუდუაკი-17, დუშენი-15), 2:2 დუშენი-5 (ისი-5, ჯ. ჯონსი-3), 3:2 პოლი-5 (გსტრელ.-9, გორატი-1).

● ფორმულა 1

ფილმი ჩემპიონზე

ფორმულა 1-ში 1976 წლის მსოფლიოს ჩემპიონ **ჯეიმს ჰანტზე** ფილმს გადაიღებენ, - წერს ბრიტანული პორტალი contactmusic.com. ლეგენდარული ბრიტანელი პილოტის ცხოვრებას გაიცოცხლებას“ სახელგანთქმული ამერიკელი რეჟისორი **სტივენ სპილბერგი** აპირებს. ჰანტის როლს კი 20 წლის ბრიტანელი მსახიობი **ალექს პეტიფერი** შეასრულებს. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ფილმის ცვლის გამოსვლის თარიღი, თუმცა თუ სპილბერგისა და პეტიფერის გადატვირთულ გეგმებს გავითვალისწინებთ, სურათის პრემიერა 2012 წელზე ადრე არ შედგება.

ჯეიმს ჰანტი ფორმულა 1-ის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო. 1976 წელს, ჩემპიონატის მოგების შემდეგ, ბრიტანელი კიდევ ორი სეზონი მონაწილეობდა „დიდ რბოლებში“, მაგრამ მეგობრის, **რონი პეტერსონის** დაღუპვის გამო სპორტული კარიერა ნაადრევად დაასრულა. ჯეიმს ჰანტი 1993 წელს, 45 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

გვერდი მოამზადა
გია თავალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონშიფი

სუნდსი-პორტსმუთი 1:2

ინგლისის თასი

ძროუელ-სუინდონი 1:1

პორტ ვეილი-პარიზენგტონი 1:0

იტალია

სერია B

ატალანტა-ლივორნო 0:2

შპანეთი

II ლიგიზიერი

პონფერადინა-სპორტინგი 0:0

გერმანია

მაინცი-ნიურნბერგი 3:0

II ბუნდესლიგა

არმინია-ფორტუნა 0:2

ბოზუმი-პადერბორნი 3:0

შრაიდშუტრი-ოსნაბრიუკი 4:1

III ბუნდესლიგა

ვერდერი A-ბაიერი A 2:0

რეგიონალლიგა (ჩრ)

ვილჰელმშავ.-თურკიემსფორი 2:2

რეგიონალლიგა (სამ)

მიუნხენი A-შრაიდშუტრი A 1:1

რეგიონალლიგა (ბავ)

პოშბურგი-მაინცი A გადაიდო

საფრანგეთი

II ლიგიზიერი

აიაჩო-ბაულინი 2:0

შატრუ-დიეპპი 0:3

ვანიანი-გრენოლი 2:0

ლავალი-ისტრი 0:0

მეცი-სტრასი 0:0

ნანტი-ლორიენი 2:0

რიმინი-ნიმი 1:1

ტრუა-ჰავრი 0:0

ვანი-ანტონი 0:0

პოლანდია

გრიდა-ეინდჰოვენი 4:2

II ლიგიზიერი

ცვოლე-ვოლენდამი 4:1

ჯონგშრი-ჩოსენდაალი 2:0

ემონი-ვაალვიკი 2:1

დენ ბოშე-იპსწიჩი 1:1

დორდრეხტი-ოსვიშორალდი 2:4

ჯელდროდი-ფორტუნა 5:2

გაასტრიხტი-ეინდჰოვენი 0:0

ტილსტარი-სპარტა 0:1

ბელგია

გენკი-ვენჩი 1:2

პორტუგალია

სპორტუგალი-აკადემიკა 0:1

ესპანეთი

II ლიგიზიერი

აუსტრია (ლ)-ალტბახი 2:1

ჰარტბერგი-გრაზბორნი 2:0

გრიროდი-ლუზენაუ 2:1

ვენა-სტ. ანდრე 0:4

ამშირა-სტ. პოლტენი 5:1

ფრანგეთი

ესძისპირი-მანიშა 2:1

უელსი

ეგლრისბრიდჟი-პორტ ტალბოტი 2:2

ეირბასი-ბანგორი გადაიდო

სლოვაკეთი

კოშიცე-ტატრანი 4:0

შვარცია

ილიჩივეცი-კრემგაში 1:1

პოლონეთი

კრაკოვია-ჭელტატოვი 3:2

პოლონია (ბ)-ლეგნია 0:1

ბრაზილია

ლოკომოტივა-დრაგივოელიანი 3:2

უნგრეთი

ლოშგარდი-დებრეცენი 1:1

ჰოვედი-ვაშაში 0:0

რუმინეთი

უნირეა-სპორტული 2:1

ვასლუი-ბანდრული 3:1

კალათბურთი

საფრანგეთი

ვილერბანი-ჯუტბეი 66:64

ლე მანი-ნანსი 76:79

თურქეთი

ტ. ტელეკომი-გალათასარაი 69:97

ჰოკეი

NHL

ბოსტონი-კაროლინა 0:3

ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი 2:0

ფილადელფია-კალგარი 2:3 (ბ)

პიტსბურგი-ტბასა 2:1

მინესოტა-ნეშვილი 5:2

ერთიანული ჩემპიონატი

ფეხბურთი

სიგირი-ს. იულიანი 0:3

ვიტებსკი-ატლანტი 1:4

სპვარსტალი-სპა 3:2 (ბ)

ტორპედო-ლოკომოტივი 4:5 (ბ)

ბელარუსი

ვიტებსკი-ხიმვოლოკნო 7:2

ხიმკი-შახტარი 3:4 (ბ)

შინიკი-გომელი 4:8

ბრესტი-ონუხოტი 1:6

ავსტრია

ბარონ-ვინა 0:7

ალბა-კლაგენფურტი 2:3 (ბ)

ვილახი-ოლივიპა 4:6

ზალცბურგი-ბრაცი 4:2

ზაგრები-ლინცი 3:2 (ბ)

გერმანია

ვოლფსბურგი-აუგსბურგი 5:4

ინგოლშტადტი-კილნელი 2:1

კრეფელდი-ჰამბურგი 4:1

შიუხენი-განაპიი 2:6

ნიურნბერგი-ტსვაინი 2:3

შტრაუბინგი-დორუნდორფი 3:4

ჰანოვერი-პისანორი 2:1

ლატვია

რიგოვია-ოლეგრები 0:3

ჯერნინგი-შრედრიკშავნი 6:1

სლოვაკეთი

ძილინა-პისტორიც გადაიდო

ნიტრა-სკასლიც 2:7

პრეშოვი-მარტინი 6:2

კოშიცე-სლოვანი 5:4 (ბ)

ზვოლენი-ტრენინი 2:3

შვიცარია

იოკერიტი-ტპს 5:0

ტპპარა-ცსკი 3:4

ოვშიისაკიულა-ილვისი 3:1

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-პრელესლავი 4:1

ვუდეიოვიცე-ლიტვინოვი 4:6

პარდუბიცე-კლადნო 5:2

ბრნო-ვლზენი 4:5

ლიბერეცი-სპარტა 4:1

შვეიცარია

ლანგნაუ რაპერსვილი 2:3

ლუგანო-დავოსი 2:5

ცუგი-ამრი 2:4

ფრიბურგი-სერვეტი 1:2

ჩოგბურთი

ATP. ლონდონი

ნადალი-ბერდიხი 7:6, 6:1

ჯოკოვიჩი-როდიკი 6:2, 6:3

● TV პროგრამა

27 ნოემბერი, შაბათი

მზე

13:00 იმედის ფსონი.

21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-მილანი (LIVE).

23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა (LIVE).

I არხი

14:00 რაგბი. ტესტ-მატჩი. საქართველო-აშშ (LIVE).

17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-ვიტ ჯორჯია (LIVE).

რუსთავი 2

12:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

НТВ-პლიუს ფეხბურთი

07:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუბინი-კოპენჰაგენი.

09:15 სიდნეიბურთიო.

10:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სპარტაკი-მარსელი.

12:10 სასჩეური.

13:00 ახალი ამბები.

13:20 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ნიურნბერგი.

15:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.

15:10 საფეხბურთო კლუბი.

15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

16:25 ახალი ამბები.

16:40 პოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-ეინდჰოვენი.

18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლეგერკუზენი (LIVE).

20:25 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.

20:30 ახალი ამბები.

20:50 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.

20:55 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-მილანი (LIVE).

22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე (LIVE).

00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ესპანიოლი (LIVE).

02:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.

04:45 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლილი.

06:35 საფეხბურთო კლუბი.

EUROSPORT

11:30 ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეტურნესი.

11:35 მულტისპორტი.

11:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. HS142. ჯუნსამი. ფინეთი.

12:30 სათხილამურო ორჭობი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS142. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

13:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები, ქალები. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 5 კმ. ქალები. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

14:30 ცოცაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. იგლსი. ავსტრია (LIVE).

15:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 მ. კაცები, ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

16:45 სათხილამურო ორჭობი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS142. ჯუნსამი. ფინეთი.

17:15 სათხილამურო ორჭობი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. გუნდური. HS142. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

19:45 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). ენდჰოვენი. ჰოლანდია (LIVE).

21:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ასპენი. აშშ (LIVE).

22:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). ენდჰოვენი. ჰოლანდია (LIVE).

22:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ლეიკ ლუისი. კანადა (LIVE).

00:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ასპენი. აშშ (LIVE).

00:55 ზამთრის უოქ ენდი. ტელეტურნესი.

01:00 კიბერსპორტი. კიოლნი. გერმანია.

02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. გუნდური. HS142. ჯუნსამი. ფინეთი.

28 ნოემბერი, კვირა

მზე

13:00 იმედის ფსონი.

15:30 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პარმა (LIVE).

23:45 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა, (LIVE).

НТВ-პლიუს ფეხბურთი

07:30 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე.

09:20 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-მილანი.

11:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.

13:00 ახალი ამბები.

13:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

13:50 საფეხბურთო კლუბი.

14:40 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-კრილია (LIVE).

17:35 ახალი ამბები.

17:55 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-კატანია (LIVE).

19:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ბორდო (LIVE).

21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ოსასუნა (LIVE).

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ალმერია (LIVE).

01:55 ახალი ამბები.

02:10 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა.

04:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მეც

05:45 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-კატანია.

EUROSPORT

11:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 მ. კაცები, ჯუნსამი. ფინეთი.

12:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 5 კმ. ქალები. ჯუნსამი. ფინეთი.

13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. გუნდური. HS142. ჯუნსამი. ფინეთი.

15:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 მ. კაცები, ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

16:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ჯუნსამი. ფინეთი (LIVE).

18:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. ჯუნსამი. ფინეთი.

19:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). ენდჰოვენი. ჰოლანდია (LIVE).

21:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ასპენი. აშშ (LIVE).

22:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერ-გიგანტური. ლეიკ ლუისი. კანადა (LIVE).

23:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ჯუნსამი. ფინეთი.

00:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ასპენი. აშშ (LIVE).

00:55 ზამთრის უოქ ენდი. ტელეტურნესი.

01:00 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. გომაშ ადამეკი (პოლონეთი) - მაიკლ გრანტი (აშშ). მაიამი, აშშ.

02:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ჯუნსამი. ფინეთი.

03:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). ენდჰოვენი. ჰოლანდია.

საბისო კონტურები

წელს ფორმულა 1-ში სატრანსფერო სეზონმა ყოველგვარი სიურპრიზების გარეშე ჩაიარა - უძლიერესმა გუნდებმა დაადასტურეს შემადგენლობები, მაგრამ რამდენიმე დარჩენილ ვაკანსიაზე ძალიან ბევრი პილოტი აცხადებს პრეტენზიას და უმეტეს შემთხვევაში ყველაფერს სასპონსორო თანხები გადაწყვეტს...

რედ ბული

კონტრაქტები: სებასტიან ფეტელი, მარკ უებერი

მსოფლიოს ახალ ჩემპიონ **სებასტიან ფეტელს** მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს, ხოლო **მარკ უებერმა** 2010 წლის ივნისში მორიგი ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „რედ ბულში" სტაბილურობაზეა გადატანილი აქცენტი და აქ ყველაფერს აკეთებენ წელს მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად.

მაკლარენი

კონტრაქტები: ლუის ჰემილტონი, ჯენსონ ბატონი

ორი ბრიტანელი ჩემპიონი, დებალანსებული შემადგენლობა, უკონფლიქტო სიტუაცია - პირველად მრავალი წლის განმავლობაში „მაკლარენმა" ოპტიმალური ვარიანტი იპოვა და მისი შეცვლა მიზანშეწონილი არ იქნება.

ფერარი

კონტრაქტები: ფერნანდო ალონსო, ფელიპე მასა

ალონსოს 2011 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი „ფერარისთან", **მასამ** კი გუნდთან ხელშეკრულება 2012 წლის ბოლომდე გაახანგრძლივა. ამბობენ, რომ „სკუდერიაში" უმაყოფილონი არიან ფელიპეს ბოლოდროინდელი ნარუმბატებლობებით, მაგრამ ბრაზილიელს კონტრაქტი აქვს, მან უკვე ჩააბარა ნოუმბრის ტესტები „პირელის" ახალი საბურავებით, ასე რომ, ცვლილებები ნაკლებად არის მოსალოდნელი.

თუ „ფერარიში" შემადგენლობა მაინც შეიცვალა, ეს სერიოზულად იმოქმედებს სხვა გუნდებში სიტუაციაზე. ჭორების მიხედვით, **რობერტ კუბიცა** შეიძლება ალონსოს მეწყვილე გახდეს, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდებია.

მერსედესი

კონტრაქტები: ნიკო როსბერგი, მიხაელ შუმახერი

ნიკო როსბერგმა ღირსეულად ჩაატარა სეზონი, **მიხაელ შუმახერი** კი 2011 წელს სერიოზულ პროგრესს იმედოვნებს. ამბობდნენ, წლევანდელი ჩავარდნის შემდეგ ლეგენდა საბოლოოდ წავიდოდა სპორტიდან და მის ადგილზე **ნიკ ჰაიდფელდი** ან **ადრიან სუტილი** მივიდოდა, მაგრამ გერმანული საჯარისები შეინარჩუნებს შემდგენლობას და მომავალ წელს მეტის მიღწევას შეეცდება.

რენო

კონტრაქტები: რობერტ კუბიცა

კანდიდატები: ვიტალი პეტროვი, ნიკ ჰაიდფელდი, ადრიან სუტილი, ნიკო ჰიულკენბერგი, რომენ გროსჟანი.

რობერტ კუბიცასთან ახალი კონტრაქტი ჯერ კიდევ ბრიტანეთის გრან-პრის წინ გაფორმდა. სანტტერესოა მეორე ვაკანსიისთვის ბრძოლა, თუმცა „რენოს" ნარმომადგენლებმა ბუ დაბის რბოლის შემდეგ გამოცხადეს, რომ ეს საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

ყველაზე რეალური კანდიდატი **ვიტალი პეტროვია**, მაგრამ ამ პოზიციაზე სამი გერმანელიც აცხადებს პრეტენზიას - ნიკ ჰაიდფელდი, ადრიან სუტილი და **ნიკო ჰიულკენბერგი**, თუმცა არც ერთის არ გაანრია სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა. არ უნდა დავივიწყოთ სწრაფი **რომენ გროსჟანი**, რომელიც ფორმულადან წასვლის შემდეგ 2010 წელს Auto GP-ის ჩემპიონი გახდა და სასპონსორო კონტრაქტი გააფორმა ჟერარ ლოპესის დამოკიდებული „რენოსა" და Group Lotus-ის მოლაპარაკებებზე.

უილიამსი

კონტრაქტები: რუბენს ბარიკელო

კანდიდატები: მასტორ მალდონადო ხელმძღვანელობის მხრიდან უარყოფის მიუხედავად, „უილიამსს" პრობლემები აქვს ბოუჯტთან დაკავშირებით, ამიტომაც **მასტორ მალდონადოსთან** კონტრაქტმა ნანილობრივ უნდა მოხსნას ამ საკითხის სიმნველე.

ნიკო ჰიულკენბერგი გაუშვეს, მაგრამ მისი ადგილი დიდხანს ვაკანტური არ დარჩება. მალდონადოს სპონსორები მასში 20 მილიონს იხდიან. როგორც ვთქვით, ეს შეცვლა ბრიტანული საჯარისთვის კომერციულად იქნება მომგებიანი, სპორტული თვალსაზრისით კი „უილიამსი" ბევრს არაფერს დაკარგავს: ჰიულკენბერგმა ერთი წლის წინ მოიგო GP2-ის სერია, მალდონადომ კი ეს წელს გააკეთა. თუმცა სამხრეთამერიკელი ორი წლით უფროსია გერმანელზე.

გუნდმა დაადასტურა **რუბენს ბარიკელოსთან** კონტრაქტი და შობამდე მეორე პილოტის დასახელებას დაგვპირდა.

ფორს ინდია

კანდიდატები: ადრიან სუტილი, ვიტანტონიო ლიუცი, პოლ დი რესტა, ნიკ ჰაიდფელდი, მიხაილ აღეიოშინი, ნიკო ჰიულკენბერგი.

„ფორს ინდიას" შემადგენლობაც მალე უნდა გამოცხადდეს. ფორმალურად, **ვიტანტონიო ლიუცის** უკვე გააწია კონტრაქტი, მაგრამ გარკვეულ პირობებში ის შეიძლება გაუქმდეს, რადგან იტალიელმა არც ისე დამაჯერებლად ჩაბარა წლევანდელი სეზონი. თანაც, პრეტენდენტთა სიუხვე გუნდს მდიდარ არჩევანს აძლევს.

ზაუბერი

კონტრაქტები: კამუი კობაიაში, სერხიო პერესი.

„ზაუბერში" აქცენტი სპონსორებსა და ახალგაზრდებზე გააკეთეს. 2010 წელს ამ გუნდის ბოლიდზე სასპონსორო ლოგო თითქმის არ ყოფილა მიკრული, მაგრამ BMW-ს ნასვლის მიუხედავად გაძლო, კარგადაც გამოიყურებოდა და მომავალი სეზონისთვის კონტრაქტების შესახებ ჯერ კიდევ ჩემპიონობის დასრულებამდე გამოაცხადა.

შვეიცარიელებმა გაიფორმეს 20 წლის მექსიკელი **სერხიო პერესი**, რომელიც მომავალ წელს **კამუი კობაიაშის** პარტნიორი გახდება. ამ გარიგების სოლიდური არგუმენტი იყო ნარმატებულად დასრულებული მოლაპარაკება მილიარდერ **კარლოს სლიმთან**. ამ უკანასკნელის კომპანია Telmex გუნდის სპონსორი გახდა.

ტორო როსო

კონტრაქტები: სებასტიან ბუემი, ხამიე ალგერსუარი.

„ტორო ბოსოს" ახალგაზრდული პროგრამა ბოლო დროს უფრო ხშირად ეთხოვება მრბოლელებს, ვიდრე ახლებს იწვევს. დიახ, სებასტიან ფეტელმა მოიგო ტატული, მაგრამ პერსპექტიული ახალგაზრდობა არც ისე სწრაფად პროგრესირებს, რომ გუნდმა იმავე **ბუემის** ან **ალგერსუარის** შეცვლაზე იფიქროს.

ორივე პილოტი გააგრძელებს გამოცვლას მომდევნო სეზონში, მაგრამ თუ „რენოს" მსოფლიო სერიის ვიცე-ჩემპიონი **დანიელ რიკარდო** დარჩება ახალგაზრდულ პროგრამაში, არსებობის იმის ალბათობა, რომ მომავალ წელს მან რომელიმე სარიზო პილოტი შეცვალოს.

ლოტუსი

კანდიდატები: ჰეიკი კოვალაინენი, იარნო ტრული, ფაირუზ ფაუზი, ვიტალი პეტროვი, მიხაილ აღეიოშინი.

„ლოტუსის" შემადგენლობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული - გუნდის სახელის გარშემო ატეხილ დავაზე, მის პოტენციურ პარტნიორებსა და სპონსორებზე... თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ **ჰეიკი კოვალაინენი** გააგრძელებს კარიერას, თუმცა ოფიციალურად ეს დადასტურებული არ არის, მეორე ადგილზე კი პრეტენდენტები საკმარისად არიან...

HRT F1 TEAM

კანდიდატები: პასტორ მალდონადო, ბრუნო სენა, კრისტიან კლინი, საკონ იამამოტო, კარუნ ჩანდჰოკი.

2010 წლის სეზონში HRT-ში მოხვედრა პრაქტიკულად ყველას შეეძლო - ვინც მეტ თანხას გადაიხდა, საჭეს მას ჩააბარებდნენ. ჯერჯერობით გუნდის პოლიტიკა არ იცვლება. ესპანური სავიზიტო კონკურენტუნარიანობა და მილიანად მისი არსებობა ეჭვის ქვეშ დგას. **კოლინ კოლესმა** ტექნიკური შტაბის უფროსად **ჯეფ უილიამსი** მიიწვია, მაგრამ „ტოიოტასთან" გარიგება ჩაიშალა, რამაც ბევრი პრობლემა წარმოშვა.

ვირჯინი

კონტრაქტები: ტიმო გლოკი

კანდიდატები: ლუკას დე გრასი, ჯერრომ დ'ამბროზიო, გვიდო ვან დერ გარდე, ლუის რაზია, მიხაილ აღეიოშინი.

რუსულ კომპანია Marussia Motors-სთან კონტრაქტის გაფორმება კიდევ ერთი ნინგადადგმული ნაბიჯია ამ საინტერესო გუნდის ისტორიაში, რომელმაც არა მარტო გამოწვევა ესროლა ჩემპიონატის გამოცდილ მონაწილეებს, არამედ ინოვაციური ტექნიკური მიდგომაც გამოიყენა.

მანქანასთან მუშაობისთვის გამოცდილებაა საჭირო, ამიტომაც **გლოკთან** კონტრაქტის გაგრძელება ლოგიკური ნაბიჯი იყო. მეორე მანქანის საჭესთან, შესაძლოა, **ლუკას დე გრასი** დატოვონ, თუმცა სავსებით შესაძლებელია სხვა პერსპექტიულ დებიუტანტთან თანამშრომლობა.

ბერნი გაძარცვეს

ბერნი და მისი შეცვარებული ფაბიანა ფლოზი

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** კვლავ მოექცა ბრიტანული პრესის ჯურღმულის ცენტრში. 80 წლის მილიარდერს ხუთშაბათს ღამით, ლონდონში სა.უუთარი სახლის წინ თავს დაესხნენ. ბერნი გულფრცხვილ **ფაბიანა ფლოზისთან** ერთად შინ ბრუნდებოდა, როცა ოთხი უცნობი მამაკაცი შეამჩნია. ბანდიტები მოულოდნელად დაესხნენ თავს ექლსტოუნს, ნააქციეს და თავში ნიხლები უთავაზეს. მათ ბერნის სახლი და მისი ქალბატონის ძვირფასეულობა გაიტაცეს, რომლის საერთო ღირებულება 200 ათასი ფუნტი სტერლინგია.

ექლსტოუნი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, ექიმებმა თავის უმნიშვნელო დაზიანება დააფიქსირეს და ბერნიმ სასწრაფოდ დატოვა კლინიკა. 80 წლის ბიზნესმენისთვის ეს კრიმინალთან შეხების პირველი შემთხვევა არ არის - ოთხი წლის წინ ბანდიტები მის „მერსედესს" დაესხნენ თავს.

პოლიციამ დანაშაულის ცხელ ვადაზე გახსნა ვერ მოახერხა და თავდამსხმელებს ახლაც ეძებენ.

როგორც ირკვევა, ბრიტანეთის დედაქალაქის ფეშენებელური რაიონები ისევე სახიფათოა ყოფილა, როგორც ბრაზილიის ინტერლაგუნის გარეუბნები, სადაც ბრაზილიის გრანპრის დროს „მაკლარენს" პილოტ **ჯენსონ ბატონს** დაესხნენ თავს.

გვიდო მოსაზღვა
გია თევზაძეიშვილმა

ჟვირის ბოლოს

გარღვევა

ალექსანდრე ტორონიძის კოლაჟი